



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენცია

წარსული, აწმყო, მომავალი



პროგრამა და თეზისები

22-23 აპრილი

თბილისი  
2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფ. დარეჯან თვალთვაძე

პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

პროფ. თედო დუნდუა

პროფ. თეიმურაზ პაპასქერი

ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

22 აპრილი  
10.30 – 11.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 107-ე აუდიტორია)

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

11.00 – 12.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 107-ე აუდიტორია)

### კონფერენციის გახსნა

მისალმება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

### პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური

1. გიორგი ოთხმეზური – ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა
2. ნიკო ჯავახიშვილი – ივანე ჯავახიშვილის წინაპრები მამის მხრიდან
3. თედო დუნდუა – პრეზენტაცია: საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, X ტ; ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, III ტ.

12.00 – 13.30

### მრგვალი მაგიდა

გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საბჭოთა უტოპიური ენობრივი თეორიები და ზოგადი ენათმეცნიერების პირველი ქართული სახელმძღვანელოები: 1918-1950 წლები“ ( FR/503/1-30/14) – შუალედური შედეგების პრეზენტაცია.

მონაწილეები: თინათინ ბოლქვაძე, ნინო აბესაძე, სვეტლანა ოდიშარია, ნათია ფუტყარაძე.

13.30 -14.00

### ფურშეტი

22 აპრილი

14.00 – 16.00

### I სექცია

სექციის თავმჯდომარე – პროფესორი თედო დუნდუა

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

1. თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა – მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმისმატიკური ძეგლების მიხედვით)
2. ლერი თავაძე – ლაზიკის მაგისტროსის (მაგისტრი) თანამდებობის შესახებ
3. მიხეილ ბახტაძე – „დარბაზის“ არსებობის შესახებ ერთიან ქართულ სამეფოში (XI-XIV საუკუნეები)
4. ქეთევან ნადირაძე – XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ყოფის საკითხების კვლევის შეფასებისათვის
5. შოთა ვადაჭკორია – ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხი 1945- 1950 წლებში

14.00 – 16.00

### II სექცია

სექციის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი ნესტან სულავა

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია)

1. ლელა ხაჩიძე – ქართული საგალობლები სინურ ხელნაწერებში
2. ნანა გონჯილაშვილი – „ნათლის სვეტის“ („სვეტი-ცხოვლის“) პარადიგმის განსახილველად ვაჟა-ფშაველას პოეზიაში
3. ბონდო კუპატაძე – „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული რეალიები
4. ნესტან სულავა – ადამიანი ქართულ ჰიმნოგრაფიაში
5. ია გრიგალაშვილი – წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“
6. თამარ ფარჩუკიძე – ქართული უნივერსიტეტის გენათურ-პეტრიწონულ სათავეებთან

23 აპრილი

11.00 – 12.30

### I სექცია

სექციის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი რუსუდან ასათიანი

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

1. რუსუდან ასათიანი – კაუზაციისა და კონტაქტის გრამატიკული კატეგორიები საერთო-ქართველურში
2. იგორ კეკელია, ნანა სულავა – სენაკის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი მიკროტოპონიმის მართებული გააზრებისათვის
3. მერაბ ჩუხუა – ბილაბიალურ, დენტალურ და სისინა სიბილიანტ თანხმოდანთა შესატყვისობისათვის ქართველურ და სინდურ (აფხაზურ-ადილურ) ენებში
4. მაია ლომია – ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა ლემატიზაციის საკითხი (ქართული, მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით)

12.30 – 13.00

### შესვენება

13.00 -15.00

### II სექცია

სექციის თავმჯდომარე – პროფესორი ჯაბა სამუშია

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

1. გიორგი სოსიაშვილი – მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან (XV საუკუნის II ნახევარი)
2. იოსებ (სოსო) ალიმზარაშვილი – მეღვინეთხუცესიშვილების დავა ატენის, წედისისა და ხიდისთავის მამულების გამო
3. ნანა გელაშვილი – სპარსულ საისტორიო წყაროთა ცნობები ქართლის ვალის – როსტომის (1633-1658 წწ.) ქორწინების შესახებ
4. აპოლონ თაბუაშვილი – საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადების და ფასების საკითხისათვის
5. გიორგი კალანდია, ჯაბა სამუშია – ერთი უცნობი „მცირე ქრონიკის“ შესახებ
6. მარიამ მარჯანიშვილი – მიხეილ ჯავახიშვილი – ემიგრანტთა მოგონებებში

23 აპრილი

13.00 – 15.00

### III სექცია

სექციის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია)

1. როლანდ თოფჩიშვილი – ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია
2. თენგიზ სიმაშვილი – ივანე ჯავახიშვილი, მთვარის კულტი და სტალინი
3. ოთარ ჯანელიძე – ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში
4. როზეტა გუჯეჯიანი – ივანე ჯავახიშვილი და სვანეთის ეთნოლოგიის კვლევის საკითხები
5. ქეთევან ხუციშვილი – კომუნიკაცია დეფაქტო საზღვრის ზონაში (ზუგდიდის რაიონი)
6. ზვიად კვიციანი – სვანეთი – რკინის მეტალურგიის უძველესი კერა

13.00 – 15.00

### IV სექცია

სექციის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი თამარ პაიჭაძე  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 201ა-ე აუდიტორია)

1. ინგა მილორავა – ბედისწერის მარწუხებში („მოირას რკალი” ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში)
2. ეკა ვარდოშვილი – თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს ურთიერთობის ისტორიიდან
3. თამარ პაიჭაძე – სიმბოლოდან სიმბოლიზმისაკენ – ევროპულ ქართული სპექტრი
4. გიორგი მაჭარაშვილი – ფოლკლორული წყაროების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობის კვლევისთვის
5. ტრისტან მახაური – ხალხური წეს-ჩვეულებების ასახვა ბაჩანას პოემაში „წაწლობა“

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, გსსუ

მეღვინეთხუცესიშვილების დავა ატენის, წედისისა და  
ხიდისთავის მამულების გამო

სტატიაში გადმოცემულია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, დრამატურგისა და ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის - დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წინაპრების დამკვიდრების პროცესი ქართლის სოფ. ხიდისთავში, დავა ამ მიწების მემკვიდრეობისათვის XVIII, და, განსაკუთრებით, XIX საუკუნეში.

ნაშრომი დეტალური სიზუსტით აღწერს იმ სასამართლო დავის პროცესებს, რაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს თავის ნათესავებთან და მეზობლებთან გადაუტანია, დიმიტრის წინაპრებისათვის ერეკლე II-ის მიერ ნაწყალობევი მიწების გამო.

პროცესებში ჩაბმული არიან ცნობილი პირები, ვაჭრები და მოქალაქეები: დიმიტრი ბაქრაძე, კონსტანტინე, ვასილ, სვიმონ, ლუკა, გიორგი მეღვინეთხუცესიშვილები, იოსებ მამაცაშვილი და მისი ძმა კონსტანტინე მამაცაშვილი, თუმანოვები, ზუბალოვები და სხვ. დოკუმენტებში მითითებულია მიწის ხარისხი, ადგილმდებარეობა, იმდროინდელი ტოპონიმები.

სტატიის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისა და დიმიტრი ბაქრაძის პირად საარქივო ფონდებში დაცულ მასალებს, ამასთან, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება. დაცულია დოკუმენტების ენობრივი სტილი.

სტატია იმ მხრივაც საგულისხმოა, რომ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა მთელი თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, გარდაცვალების შემდეგ, თავის დისშვილსა და დიმიტრი ბაქრაძის მეუღლეს - ანნას დაუტოვა მემკვიდრეობით, რომელმაც ეს ქონება XIX ს-ის 90-იან წლებში ვალებში გაყიდა.

ასევე დაიკარგა ხიდისთავში დიმიტრის ნათესავების ვასილ მეღვინეთხუცესიშვილისა და მისი ვაჟის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორისა და პედაგოგის კონსტანტინე მეღვინეთხუცესის მემკვიდ-

რობა. მეღვინეთხუცესიშვილების ნაფუძარზე დღეს სხვები ცხოვრობენ და ცოტამ თუ იცის მათი ისტორია.

სტატისას თან ერთვის ავტორის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც მკითხველს წარმოდგენას უქმნის სტატიაში მითითებული მიწების ადგილმდებარეობის შესახებ.

## რუსუდან ასათიანი, თსუ

### კაუზაციისა და კონტაქტის გრამატიკული კატეგორიები საერთო-ქართველურში

საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღდგება ოთხი ხმოვანპრეფიქსი: \*ა-, \*ე-, \*ი-, \*უ-. ზმნური ფორმებისათვის დამახასიათებელი ეს ხმოვანპრეფიქსები ტრადიციულად გვარის, ქცევის, კაუზაციის, კონტაქტისა და სიტუაციის მორფემებად მიიჩნევა, თუმცა არც ერთი მათგანი მხოლოდ მათთვის ნავარაუდებ მნიშვნელობებს არ გამოხატავს და ხშირად პოლისემანტიკურ-პოლიფუნქციურია, რაც, ბუნებრივია, ართულებს მათ ცალსახა ინტერპრეტაციას.

ქართველურ ენათა მონაცემების შედარება-შეპირისპირებისა და აღნიშნული პრეფიქსების სემანტიკური ანალიზის შედეგად იკვეთება ხმოვანპრეფიქსების საერთო, განზოგადებული ფუნქცია: *ზმნასთან მორფოსინტაქსურად დაკავშირებული სახელების (resp. აქტანტების, არგუმენტების) რაოდენობის (resp. ვალენტობის) ცვლის ('მატების' ან 'კლების') ფორმალური გამოხატვა ზმნაში.*

მოხსენებაში წარმოდგენილია არგუმენტთა 'მატების' შემთხვევების ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ყოველ ქართველურ ენაში, დიფერენცირებულია შესაბამისი მოდელები და განვითარებულია შემდეგი დასკვნითი მოსაზრებები:

კაუზაციისა და კონტაქტის ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელი კატეგორია საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში უკვე არსებობს და მისი წარმოება ცალსახად უკავშირდება \*ა- პრეფიქსს, რომლის მთავარი ფუნქციაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში პირის 'მატების' მარკირებაა, ხოლო მატების კონკრეტული შინაარსების დაზუსტება ქართველურ ენათა განვითარების შემდგომ საფეხურებზე ხდება. კერძოდ,



მოქმედება/მდგომარეობის 'მაპროვოცირებელი' აგენსის დამატებისას, \*ა- პრეფიქსთან ერთად ჩნდება გარკვეული სუფიქსები, რომლებიც აზუსტებენ 'მატების' სპეციფიკურ შინაარსებს - დამატებული აგენსი იმავდროულად მოქმედების 'ავტორიცაა' (resp. კაუზაცია), თუ მხოლოდ მოქმედება/მდგომარეობის 'მაპროვოცირებელი' (resp. კონტაქტი)? ქართველური ენები, განსაკუთრებით სვანური, ამ სუფიქსების მრავალფეროვნებას ადასტურებენ და რამდენადაც სვანურში კაუზაცია-კონტაქტის გამიჯნული მოდელები პროდუქტიული არაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაუზაციისა და კონტაქტის წარმოების დიფერენციაცია და მათთვის დამოუკიდებელი ფორმალური მოდელების ჩამოყალიბება მხოლოდ ქართულ-ზანურ დონეზე ხდება, თუმცა პროცესი ფუძე-ენის დონეზე იწყება, რაზეც მოდელების სტრუქტურული იზომორფიზმი უნდა მიგვანიშნებდეს.

## მიხეილ ბახტაძე, თსუ

### „დარბაზის“ არსებობის შესახებ ერთიან ქართულ სამეფოში (XI-XIV საუკუნეები)

მოსაზრების თანახმად, „დარბაზი“ წარმომადგენდა მეფესთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდა. რა თქმა უნდა, სიტყვა „დარბაზს“ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა და ამას ყველა მეცნიერი აღიარებს.

პირველად „დარბაზის“ საკითხი სერიოზულად ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა. მეცნიერის აზრით, „დარბაზი“ მეფესთან არსებული სათათბირო ორგანო იყო, რომელიც გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად სწორედ ეს მოსაზრებაა გავრცელებული. თუმცა ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც, „დარბაზი“ არ იყო სახელმწიფო მმართველობის ორგანო. „დარბაზი“ ეწოდებოდა მეფის სასახლისა და სამეფო კარზე არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა ერთობლიობას.

ჩვენი აზრით, ნარატიულ წყაროებში არსებული მონაცემები არ ადასტურებს „დარბაზის“ როდორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოს არსებობას. არც XI-XIV საუკუნეებში გამოცემული საბუთები ადასტურებენ.

სამართლის ძეგლები: „ძეგლის დება“ და „ბექა-არბუდას სამართალი“ არ იძლევა საშუალებას, რომ ცალსახად განვმარტოთ „დარბაზის“ მნიშვნელობა. ეს კი ძალიან ართულებს ვითაებას. ყველაფერი დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე.

მართალია, ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი არ არის, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესწავლისათვის უპირველესი წყაროა „ხელმწიფის კარის გარიგება“. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით არც აქაა ერთმნიშვნელოვანი ცნობები. ზოგი ცნობა უფრო იმაზე მიუთითებს, რომ „დარბაზი“, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანო, არ არსებობდა.

ჩვენ აზრით, თუ „დარბაზი“ მეფესთან არსებული სათათბირო ორგანო იყო, თავის განაწესით და წყვეტდა სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, შეუძლებელია ეს პირდაპირ არ ასახულიყო წყაროებში. ჩვენ უფრო იმ მოსაზრებას ვემხრობით, რომ „დარბაზი“, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანო არ არსებობდა.

## ნანა გელაშვილი, თსუ

### სპარსულ საისტორიო წყაროთა ცნობები ქართლის ვალის – როსტომის (1633-1658) ქორწინების შესახებ

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია ქართლის ვალის - როსტომის, იგივე ხოსრო-მირზა ბაგრატიონის (1633-1658) ზეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე, კერძოდ, მის ქორწინებაზე ოდიშის მთავრის, ლევან დადიანის დაზე - მარიამზე (1634 წ.) და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ საინტერესო პერიპეტეიებზე. აღნიშნული საკითხები წარმოჩენილია მე-17 საუკუნის იმ სპარსულ საისტორიო წყაროთა (მოჰამად იუსუფის, მოჰამად მაკსუმის, აბუ ალ-მაფაქირ თაფრიშის ნაშრომების) შუქზე, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი და შესაბამისად, გამოყენებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. როსტომის ქორწინებასთან დაკავშირებული ამბების თხრობისას, ირანელი მემატიანეები ხაზგასმით აფიქსირებენ, რომ ქართლის ვალიმ, როგორც ირანის ხელისუფლების ხელდასხმულმა და ერთგულმა ვასალმა, დადიანის დაზე დაქორწინების ნებართვა ჯერ შაჰ სეფი I-გან (1629-1642) აიღო. რამდენადაც ოდიშის მთავრისა და როსტომის დამოყვრება ირანის პო-

ლიტიური მიზნებისთვის მეტად სასარგებლო იყო, შაჰ სეფიმ როსტომის არჩევანი მოიწონა და მექორწილებს ძვირფასი საჩუქრებიც გამოუგზავნა. სამაგიეროდ, ცნობამ აღნიშნული ქორწინების შესახებ მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ქართველ მეფე-მთავართა გარკვეულ ნაწილში - თეიმურაზ მეფისა (რომელმაც კახეთის სამეფო ტახტი დაკარგა) და იმერეთის მეფის - გიორგი III-ის მხრიდან, რომლებიც შეიარაღებული ბრძოლით შეეცადნენ ქორწინების ჩაშლას, თუმცა უშედეგოდ.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული სპარსულ საისტორიო თხზულებებში დაცული ინფორმაცია შეჯერებულია პარალელური ცნობების შემცველ ქართულ, ოსმალურ და ევროპულ წყაროთა მონაცემებთან, რის საფუძველზეც გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

## ნანა გონჯილაშვილი, თსუ

### „ნათლის სვეტის“ („სვეტი-ცხოვლის“) პარადიგმის განსახოვნებანი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში

„ნათლის სვეტის“ („სვეტი-ცხოვლის“) პარადიგმა მთელი ქართული მწერლობის და, ზოგადად, ქართული კულტურის თანამდევი ნიშან-სვეტია.

„ნათლის სვეტის“ პარადიგმის განსახოვნებათა ჩვენების თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია.

ვაჟა-ფშაველა, განსხვავებით აგიოგრაფთაგან და რუსთაველის მსგავსად, „ნათლის სვეტის“ პარადიგმას გამონაგონ მხატვრულ სინამდვილეში „ჩამოსვეტებს“ და მას „კაი ყმის“ მხატვრული სახის დამაგვირგვინებელ ფენომენად მოიხმობს, გმირის ღმერთშემოსილობის, უზადლობის, გამორჩეულობის დამამოწმებლად („სტუმარ-მასპინძელი“, „უიღბლო-იღბლიანი“).

ამავდროულად პოეტი „ნათლის სვეტის“ პარადიგმას ახლებური შინაარსით განასახოვნებს და სრულიად განსხვავებული სახისმეტყველებით წარმოაჩენს („აღლუდა ქეთელაური“) – „ზნელი სვეტი“ არამთავარი გმირის პიროვნულ ბუნებას, მის შინაგან სამყაროს უკავშირდება და მისი გრძნობა-განცდების, ემოციების ჩვენებას ემსახურება. აღლუდას დედის გულში სვეტადჩამდგარი სიბნელე განწირულობის, საოცარი სიმძიმის, უიმედობის, სასოწარკვეთის ნიშან-სვეტია (აღნიშნული პარადიგმის ამგვარი სახისმეტყველებითი გააზრება ქართულ

მწერლობაში არ გვხვდება). მისი წანამდღვრები ბიბლიური „ცეცხლის სვეტისა“ და „ღრუბლის სვეტის“ პარადიგმებში იძებნება.

„ბნელ სვეტს“, სავარაუდოდ, მიემართება ასევე „ბნელი გული“ („როს ვუკვირდები თავის-თავს“), რომელიც ღვთაებრივ ნათელს მადლ-მოკლებული პიროვნებისა და უმადლო გულის სახე-სიმბოლოა; საპირისპიროდ – „ნათლის სვეტი“ „სახიერი“ უფლის წყალობის, მადლ-მოსილების, მისი კურთხევის ნიშან-სვეტია.

ამდენად, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში „ნათლის სვეტის“ პარადიგმა ბიბლიურ არქეტიპებს მიჰყვება და ამავ დროულად იგი განსხვავებული ხედვითაა დანახულ-აღქმული და ახალი სახისმეტყველებითი შინაარსით წარმოჩენილი.

## ია გრიგალაშვილი, თსუ

### წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“

უცნობი ავტორის „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“ ასახულია ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში, დაახლოებით II-III საუკუნეებში, კოლას ხეობაში არსებული დაპირისპირება წარმართულ და ქრისტიანულ კულტურათა შორის, რაც ყრმა მარტვილების მოწამეობით დაგვირგვინდა.

საგულისხმოა, რომ უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული საკითხავი ნათლად გვითვალისწინებს, როგორი უუფლებო და დაუცველები ყოფილან ქრისტიანები იმ პერიოდში. განრისხებულმა წარმართებმა მღვდელი ლამის მოკლეს და გააძევეს საცხოვრებელი ადგილიდან. ვერავინ გაბედა წინ აღდგომოდა წარმართი მშობლების განზრახვას - სიკვდილით დაესაჯათ გაქრისტიანებული შვილები.

ქართული სასულიერო მწერლობის უძველესი ძეგლიდან ვიგებთ, რა სახე ჰქონია ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეპოქაში ღვთისმსახურებას. მღვდელი ყმათა ნათლობისას წარმოთქვამს იმპროვიზირებულ გალობას, რაც დამახასიათებელი შეიძლება ყოფილიყო II-III საუკუნეების საეკლესიო წეს-განგებისათვის.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოსანათლ ყრმებს ქრისტიანი თანატოლები არ უშვებდნენ ეკლესიაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ პერიოდში ეკლესიას არ გააჩნდა სტოა - კათაკმეველთა დასადგომი.

ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულმა ყრმებმა არ ისურვეს, დაბრუნებულიყვნენ საკუთარ მშობლებთან ოჯახებში. მშობლებმა ძალით წამოიყვანეს სახლებში. მათ აღუთქვამდნენ ძვირფას სამოსს, მაგრამ ბავშვები უარს ამბობდნენ მიეღოთ საკვებად „ნაგები კერპთაჲ“, ე. ი. კერპებისთვის შეწირული მსხვერპლის სისხლით ნაპკურები საჭმელი. მართვილი ბავშვები ასეთი ქცევით ემსგავსებიან პირველქრისტიანებს, რომლებიც არ მიდიოდნენ წარმართებთან ერთად ბაზარში, რომ არ შეეძინათ კერპებისათვის შეწირული მსხვერპლის სისხლით ნაპკურები საკვები.

„წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“ წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირების ფონზე ნაჩვენებია ქართველ ქრისტიან ყრმათა მოწამეობის ამაღელვებელი ისტორია.

## როზეტა გუჯეჯიანი, თსუ

### ივანე ჯავახიშვილი და სვანეთის ეთნოლოგიის კვლევის საკითხები

ივანე ჯავახიშვილი ქართული მეცნიერების არაერთი დარგის ფუძემდებელია და მას დიდი წვლილი მიუძღვის ეთნოლოგიის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეში. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის ანალიზსაც. ივანე ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს სვანეთში შემონახული უძველესი მსოფლმხედველობრივი ასპექტები, მითოლოგია, ფოლკლორი, რწმენა-წარმოდგენები, რომელთა გამოყენებითაც ახდენს ქართველთა არქაული ყოფისა და წინარექრისტიანული პანთეონის რეკონსტრუირებას.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თავისებურება აზროვნების მასშტაბურობა და საკვლევი ობიექტის კომპონენტების დეტალური ანალიზია. მეცნიერს სვანეთში დადასტურებულ რწმენა-წარმოდგენათა ყოველი სეგმენტი შესწავლილი აქვს კომპლექსურად: ავლენს ეთნოგრაფიულ ტერმინთა ეტიმოლოგიას, სემანტიკურ ველს, ფაქტის სოციალურ როლს და, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურასაც. კვლევის კომპლექსურობა და სიღრმისეულობა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს უაღრესად თანამედროვე ხასიათს ანიჭებს.

ივანე ჯავახიშვილის კვლევის არეალში მოქცეულია ქართველთა ყოფის ყველა სხვა სფეროც, რომელთა ანალიზის დროს დიდი ადგილი

ეთმოზა სვანეთის მასალას. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემული „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“, რომელშიც დაუნჯებულია მრავალფეროვანი ინფორმაცია სვანეთის ტრადიციული სამშენებლო ტექნოლოგიების, ხალხური ავეჯის დამზადების, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, კვებითი კულტურის, მელიორაციის სისტემის და სხვ. შესახებ. მასალა სპეციალური ეთნოგრაფიული კითხვარის საფუძველზეა მომზადებული და უშუალოდ მთხრობელთაგანაა ინფორმაცია მიღებული.

კვლევის მეთოდის მხრივაც ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილის წვლილი. ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია ისტორიულ-მეცნიერებითი მეთოდოლოგიის კრიტიკა, მოცემული „ქართული სამართლის ისტორიის“ შესავალში.

## თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა, თსუ

### მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმისმატიკური ძეგლების მიხედვით)

განსხვავებულ ეკონომიკურ რეგიონებში მონეტა ცირკულირებდა, როგორც საქონელბრუნვის საშუალება. მას დამატებითი სემანტიკური დატვირთვაც გააჩნდა. მონეტა პროპაგანდის საშუალება იყო. კონკრეტული კვლევის ობიექტი ქართული ნუმისმატიკური ძეგლებია; უფრო ზუსტად კი გვსურს ამ მასალის, როგორც წარსულში პროპაგანდის საშუალების, შესწავლა. მოხსენებაში განხილულია შემდეგი სამონეტო ჯგუფები თუ ტიპები: ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით; ქართულ-სასანური დრაქმები; ქართულ-ბიზანტიური მონეტები; გიორგი III-ის მონეტები - მეფე შვეარდენით ხელში.

1. ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები მითრას გამოსახულებით (II-III სს.). მათი უმრავლესობა ბიჭვინთაშია ნაპოვნი. ეს კატეგორია რომაელ ლეგიონერთა ჯიბის ფული იყო. უმეტესობაზე მითრას გამოსახული. აღნიშნული ფულით აგრეთვე ხდებოდა პიტიუნტის ჰიპოთეტურად მითრასტული რომაული კონტინგენტის პროვიდენციული სულისკვეთების ამტკიცება. ეს იყო პრევენციული ზომა ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ. ე.ი. ადგილი ჰქონდა მითრასტულ პროპაგანდას.

2. ქართულ-სასანური მონეტები ჯვრის გამოსახულებით (VI ს.). სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქტია და ის, ალბათ, გაცილებით უფრო გაბედული ნაბიჯია, ვიდრე ქართული ასოების ამოკვეთა შაჰის გამოსახულებასთან. ამ ღონისძიებით, ფაქტობრივად, ქართლმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. კიდევ მეტი: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანობის ემბლემა – წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილზე (კვარცხლბეკზე) დემონსტრაციულად ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – ჯვარი აღმართა. ე.ი. სახეზეა ევროპული და ქრისტიანული სიმპათიების ლოკალური პროპაგანდა.

3. ქართულ-ბიზანტიური მონეტები (X-XII სს.) საქართველოს, როგორც „ბიზანტიური თანამეგობრობის“ და მართლმადიდებელი სიმახიის წევრის, პროპაგანდაა. საქართველო იმდენად იყო ინტეგრირებული ბიზანტიასთან, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ძელი ცხორებისად“ (ჭემმარტი ჯვარი), ვლადიკერნის ღვთისმშობელი და აშ. ვლადიკერნის ღვთისმშობლის ტიპის პრეზერვაცია არა ტრადიციას, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება.

4. გიორგის III-ის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში. მონეტა აშკარად პროპაგანდას ემსახურება. მასზე გამოსახული არარეალისტური „სპარსული სტილი“, არაბული ლეგენდა და საიმპერატორო გვირგვინი თბილისში კონცენტრირებული მუსლიმი ქვეშევრდომებისთვის ქრისტიანი მეფის მხრიდან ტოლერანტობის მანიშნებელი უნდა იყოს.

## შოთა ვადაჭკორია, თსუ

### ქართლი ემიგრაცია და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხი 1945- 1950 წლებში

საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოხსენებაში დასაბუთებულია:

1. მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე, „განმათავისუფლებელი მისიითა“ და „სახალხო დემოკრატიის“ ნიღბით, სბჭოთა

რუსეთისგან ევროპის ქვეყნების ოკუპაცია, ბოლშევიკებისგან დევნილმა და ემიგრაციაში მყოფმა კანონიერმა მთავრობებმა, იდეოლოგიურ ფრონტზე განსჯის ძირითად საგნად აქცია. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, განსაკუთრებით ქართული ემიგრაცია აქტიურობდა. საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, 1945 წელს საფრანგეთში შექმნილი „ქართველ პატრიოტთა კავშირი,“ ქართველი ემიგრანტების გადმობირებას, საბჭოთა პლატფორმაზე გადაყვანას და იდეოლოგიურ ფრონტზე ქართული ემიგრაციის ნეიტრალიზებას ითვალისწინებდა; 2. ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების მხრიდან ქართული ემიგრაციისადმი 1921-1945 წლებში მიცემული დაპირებების შეუსრულებლობამ, წაჯექ-უკუჯექის პოლიტიკურმა კურსმა და საბჭოთა რუსეთთან „პოლიტიკურმა არმყოფობამ“ (ნ.ჟორდანიას), ქართველ ემიგრანტთა შორის ევროპისადმი ნიჰილიზმი დაამკვიდრა და მისი ორიენტაციის სამი მიმართულებით [ა)პრორუსული, ბ)შუალედური და გ)დასავლეთ ევროპული] ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ა)საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართული ემიგრაციის ერთი ჯგუფი, წარსულის ანალიზიდან გამომდინარე, ევროპის ქვეყნებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი რეალური მხარდაჭერის ნიადაგს და რესურსებს ვერ ხედავდა. ევროპისადმი ნიჰილიზმი იმდენად ძლიერად იყო მათში ჩაკირული, რომ რუსეთიდან გამოყოფაზე უარს აცხადებდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის წინა პლანზე წამოწევას თავის მოტყუებად თვლიდნენ; ბ)საბჭოთა რუსეთში გამეფებული დიქტატურის ევოლუციური გზით შეცვლის შეუძლებლობიდან გამომდინარე, ქართველი ემიგრანტების მეორე დაჯგუფება, რუსეთის იმედად დარჩენას მიუღებლად მიიჩნევდა. იმავდროულად, ევროპის ქვეყნებთან მიმართებაშიაც ნიჰილიზმს ამჟღავნებდა და საქართველოს გადარჩენის რეალურ საშუალებად – „საერთო დემოკრატიულ ლაგერს“ მოიაზრებდა. „პოლიტიკური რომანტიზმით“ დამძიმებული ეს შეხედულება, დასავლეთის კაპიტალისტური და აღმოსავლეთის კომუნისტური ბლოკების მშვიდობიანი – ევოლუციის გზით ერთმანეთში შერწყმას ითვალისწინებდა; გ)საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე და მისი მხარდამჭერები, საქართველოს მომავალს ევროპის ქვეყნების თანადგომაში და დემოკრატიზმში ხედავდნენ. ქართული ემიგრაციის ცნობიერებაში დასავლეთისგან მხარდაჭერის გაღრმავებას ორი ფაქტორი დაედო საფუძვლად: ა)„საქართველოს ნაციონალური კომიტეტისა“ და აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლების საქმიანი კონტაქტები და ბ)1949 წელს ჩრდილო ატლანტიკური



სამხედრო – პოლიტიკური ბლოკის (ნატო) შექმნა; 3) საარქივო მასალებში მოტანილი მონაცემების მიხედვით, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ხელისუფალთა მხრიდან იმ ეტაპზე საბჭოთა იმპერიისადმი დაპირისპირებულმა პრაგმატულმა ღონისძიებებმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და საქართველოში არალეგალურად მოქმედი ანტისაბჭოური ძალების რიგებში, ქვეყნის განთავისუფლების იმედები გააცოცხლა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ და მოსალოდნელი ხელსაყრელი პირობების შექმნის ალბათობამ, დასავლეთ ევროპაში არსებული ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა. პოლიტიკურად საღად მოაზროვნე ქართული ემიგრაციის რიგებში, საქართველოს კანონიერი მთავრობის გარშემო პოლიტიკური მიმდინარეობების გაერთიანება და კონსესუსზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმის შემუშავება, ერის თავისუფლებისთვის მოსამზადებელ წინაპირობად იქნა გამოცხადებული.

## ეკა ვარდოშვილი, თსუ

### თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს ურთიერთობის ისტორიიდან

აღსანიშნავია, რომ ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა თეიმურაზ ბაგრატიონმა და მარი ბროსემ დაიწყეს. 1821 წელს პარიზში დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი „აზიური საზოგადოება“ („Societe Asiatique“). ამ საზოგადოების აქტიური წევრის, მარი ბროსეს კავშირი პეტერბურგში გადახვეწილ თეიმურაზ ბაგრატიონთან 1830 წლიდან დასტურდება. 1831 წლიდან თეიმურაზი ამ საზოგადოების ნამდვილი წევრია. მარი ბროსე თეიმურაზ ბაგრატიონს თავის მასწავლებლად თვლიდა. თეიმურაზი დიდ დახმარებას უწევდა ქართველოლოგიის საკითხებზე მომუშავე ფრანგ მეცნიერს. „აზიურ საზოგადოებაში“ თეიმურაზი თავადაც ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მ. ბროსე თეიმურაზ ბაგრატიონის შესახებ წერდა: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვთქვა თეიმურაზ ბატონიშვილის სახელი, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა, და რომლის მდაბალ მოწაფედ, სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა, აღვიარებ ჩემს თავს“ (მ. ბროსე).

1830 წლიდან 1846 წლამდე თეიმურაზს ფრანგი მეცნიერებისადმი 40-ზე მეტი სამეცნიერო ხასიათის წერილი აქვს მიწერილი, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის საკითხებზე. თ. ბაგრატიონის მეცნიერულ ნააზრევზე დაყრდნობით მ. ბროსეს ქართველოლოგიის საკითხებზე უცხოეთში არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული, ესენია: „ლიტერატურული შენიშვნა ზოგიერთი ქართველი ავტორის შესახებ“, „ქართული რომანტიკული ლიტერატურა“ და სხვა.

1837 წ. მ. ბროსეს წარდგინების საფუძველზე თეიმურაზი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „პოჩოტნი ჩლენად“ დაამტკიცეს. იგი ასევე იყო „კოპენჰაგენის (დანისის) სამეფოს ანტიკვართმშეკრებილების პირველ ჩლენთა შორისაც“.

## აპოლონ თაბუაშვილი, თსუ

### საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადების და ფასების საკითხისათვის

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება XVII საუკუნიდან დაიწყო, თუმცა, მოსახლეობაში უფრო ადრე გავრცელდა იმპორტისა და ბრძოლებში მოპოვებული სამხედრო ნადავლის შედეგად. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ XVI საუკუნის ბოლოს ქართული ჯარის მცირე ნაწილი ფლობდა თოფ-დამბაჩებს. XVII საუკუნეში იზრდება თოფებით შეიარაღებულთა რაოდენობა. საამილახვროს აღწერის დავთრიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნის მიწურულს უკვე საერთო მოსახლეობის 40 %-მდე შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით. ხოლო XVIII საუკუნეში მოსახლეობის 80%-ზე მეტი კაჟის ჩახმახიანი თოფებით იყო შეიარაღებული, რაც დასტურდება როგორც აღწერის დავთრებით, ასევე უცხოური თუ ქართული წყაროებით.

თოფ-დამბაჩების მასობრივი გავრცელება გამოწვეული იყო ადგილობრივი წარმოების განვითარებით. სავარაუდოდ, XVII საუკუნის მიწურულიდან საქართველოში უკვე კაჟის ჩახმახიან თოფებს ამზადებდნენ. თოფების დამზადების კერებად მიიჩნევა თბილისი, სამეგრელო, სვანეთი, მაჭახელას ხეობა და სხვა ადგილები. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ფართო გავრცელებაში, ბუნებრივია, თბილისელი ხელოსნების საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. კაჟის ჩახმახიანი თოფი სამი უმთავრესი დეტალისაგან შესდგება, ესენია: ლულა,

ჩახმახი და კონდახი. ძვირადღირებულ იარაღს მეზარნიშეები ოქროთი, ვერცხლით, ან სხვა ძვირფასი მასალით ამკობდნენ. ლულების დიდი ნაწილი იმპორტირებული იყო, რომელიც ძირითადად ყირიმიდან შემოდიოდა. რაც შეეხება ჩახმახის, კონდახის და ზოგადად თოფის დამზადების ხელოსნებს, საისტორიო წყაროებში ისინი ხშირად იხსენებიან არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც.

XVIII საუკუნის მონაცემებით ძვირადღირებული თოფები 8-10 თუმანი ღირდა, რაც იმ პერიოდში დაახლოებით 4-6 ტონა ხორბლის, ანდაც 20-25 ძროხის ღირებულების ტოლფასი იყო. ხოლო მოსახლეობის დაბალი ფენების შეიარაღებაში არსებული თოფის შექმნა შეიძლებოდა ერთი ძროხის, ან დაახლოებით 200-300 კილოგრამი ხორბლის ფასად.

## ლერი თავაძე, თსუ

### ლაზიკის მაგისტროსის (მაგისტრი) თანამდებობის შესახებ

ლაზიკის (ეგრისი) მაგისტროსის თანამდებობა ბიზანტიელი ისტორიკოსების, პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებში არის დაფიქსირებული. ამის შესახებ პროკოპი კესარიელი თავისი თხზულების იმ მონაკვეთში საუბრობს, რომელშიც ბიზანტიასა და ირანს შორის მიმდინარე კონფლიქტია აღწერილი. მისიმიანელების აჯანყების ჩახშობის აღწერისას იმავე თანამდებობას ახსენებს აგათიაც.

როგორც ჩვენ ვარკვევთ, ლაზიკის მაგისტროსის სახელოს შემოღება ლაზთა მეფის მიერ რომის იმპერიის ანალოგიით IV საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგ, იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) მმართველობის დასასრულამდე უნდა მომხდარიყო.

ლაზიკის მაგისტროსის თანამდებობის მფლობელმა შეითავსა რომაული ოფისიორუმის მაგისტრისა (მაგისტროსი) და სამხედრო მაგისტრის თანამდებობათა ფუნქციები. მსგავსად ოფისიორუმის მაგისტრისა, რომელიც სხოლებს მეთაურობდა, ლაზიკის მაგისტროსიც სამეფო დაცვას ხელმძღვანელობს. იგი სასაზღვრო პროვინციაში გამწესებული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის უმაღლესი მოხელეცაა და გარკვეულ შემთხვევებში მთავარსარდლის ფუნქციასაც ასრულებდა, რასაც რომაული/ბიზანტიური ოფისიორუმის მაგისტრი მოკლებული იყო.

ეგრისის სამეფოს მაგისტროსის თანამდებობა და მისი ლაზიკაში დამკვიდრება გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია ქართლის ადმინის-

ტრაციული მოწყობის სისტემასთან. ქართლის სამეფოში მთავარი პროვინციის, შიდა ქართლის, ხელმძღვანელობა და მეფის შემდეგ ჯარის მეთაურობა სპასპეტს ჰქონდა დავალებული. მონარქის შემდეგ, ქვეყნის მეორე პირად, ამ ირანული წარმოშობის თანამდებობაზე მყოფი მოხელე ითვლებოდა. ამ კუთხით ეგრისში განსხვავებული ვითარებაა. აღნიშნული შესაძლოა ეგრისის მეფეების მცდელობაც იყო, დაშორებოდნენ ქართლისა და ირანული ადმინისტრაციული მოწყობის სისტემას, რომელსაც ანტიკური ხანის სამხრეთ კავკასიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. სხვა მხრივ, რომის და მისი მემკვიდრე, ბიზანტიის იმპერიის გავლენა ლაზიკის ადმინისტრაციულ მოწყობაზე უდავოა.

## როლანდ თოფჩიშვილი, თსუ

### ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელმა ივანე ჯავახიშვილმა, საისტორიო მეცნიერების გარდა, სხვა ჰუმანიტარულ დარგებსაც მისცა დასაბამი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოლოგიის წინაშეც, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ეთნოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ მეცნიერების ამ დარგის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოს ისტორიის მთელი რიგი ფაქტების გააზრება. ამდენად, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიული ეთნოლოგიის ფუძემდებელიცაა.

ივანე ჯავახიშვილმა ეთნოლოგიის შემდეგი მიმართულებები შეისწავლა: ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების მეთოდოლოგია, ქართველი ხალხის წარმომავლობა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა და სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობები...

ივანე ჯავახიშვილი ისტორიული ეთნოლოგიის პრობლემების კვლევისას წერილობით ძეგლებთან ერთად ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც. 1935 წელს შინამრეწველობის მასალების შესაკრებად გამოიმუშავა ეთნოგრაფიული მასალების შეკრების წესები, რაც დღესაც შესანიშნავი მეთოდოლოგიურ პროგრამას წარმოადგენს. ეთნოლოგიის სფეროში მეცნიერის მიერ მიღებული დასკვნებს და მის ნაღვაწს გვერდს ვერ უვლიდა ვერც ერთი ეთნოლოგი, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებით მეცნიერის გამოთქმული მოსაზრებების დადასტურება უხდებოდათ.

ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის კონცეფცია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-კულტურული კავშირების შესახებ, რამაც, ფაქტობრივად, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთობა და ეთნიკური კონსოლიდაცია განაპირობა.

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის შეფასება საქართველოს ეთნოლოგიის, ქართველთა მატერიალური, სულიერი კულტურისა და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის საქმეში განუზომლად დიდია და მისი სრულყოფილად გამომზეურება მომავლის საქმეა. მან „უდიდესი წვლილი შეიტანა ეთნოგრაფიის განვითარებაში, ღრმა კვალი გაავლო ქართული მეცნიერების ყამირს და საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემა გაარკვია“ (გ. ჩიტაია).

## გიორგი კალანდია, ჯაბა სამუშია, თსუ

### ერთი უცნობი „მცირე ქრონიკის“ შესახებ

2015 წელს ერთ-ერთი კერძო პირისაგან, ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გელოვანმა, თბილისში შეისყიდა ხელნაწერი, რომელიც შესასწავლად გადასცა სპეციალისტებს. მინაწერებში მოხსენიებულია გადამწერი ქაიხოსრო ხიზანოვი, იგივე ხიზანიშვილი, რომელიც XIX ს. ცნობილი კალიგრაფი იყო. ხელნაწერის ზომებია 22-24 სმ. იგი 319 გვერდისგან შედგება და ნაწერია შავი მელნითა და სინგურით. ჩასმულია მუქ-ყავისფერ ტყავის ყდაში, დაზიანებული და შემოდარცულია. ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს და რამდენიმე ნაწარმოებისგან შედგება. ბევრ საინტერესო ლიტერატურულ ძეგლთან ერთად ხელნაწერში დაცულია ვახტანგ მეექვსის უცნობ ლექსი. კრებული იწყება “მცირე ქრონიკით,” რომელსაც ხელნაწერის 1-4 გვერდი უკავია. მცირე ქრონიკები მეტად პოპულარული იყო ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში. დიდი საისტორიო თხზულებების პარალელურად, რომელთაც თავისი მხატვრულ-ლიტერატურული ფასეულობა გააჩნდათ, მონასტრებში და საერო პირთა ოჯახებში (სამეფო საგვარეულო, ფეოდალებისა და ვაჭრების ოჯახები) იქმნებოდა ე.წ. მცირე ქრონიკები, რომელშიც მასშტაბური პოლიტიკური მოვლენების ფონზე შეჰქონდათ საინტერესო ფაქტები რეგიონის, მონასტრის, ოჯახის „მიკროისტორიიდან.“ საქართველოში მცირე ქრონი-

კების შეკრება-შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი სამუშაო ჩაატარა თ. ჟორდანიამ, პ. კარბელაშვილმა, ს. კაკაბაძემ, ჯ. ოდიშელმა და სხვა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ კუთხით იმ ჯგუფების ღვაწლი, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ „ხელნაწერთა აღწერილობაზე“. ჩვენ მიერ შესწავლილი „მცირე ქრონიკის“ გადამწერი, ისევე როგორც მთლიანად ხელნაწერის, არის ქაიხოსრო დავითის ძე ხიზანოვი-ხიზანიშვილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ გადამწერია და საკუთრივ ქრონიკალური ჩანაწერები სხვა ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. ამას გვაფიქრებინებს ამ „მცირე ქრონიკის“ მსგავსება, ე. წ. „მეფე ირაკლის ქორონიკონთან“. თ. ჟორდანიამ საგანგებოდ შეისწავლა ეს ქრონიკალური ცნობების შემცველი ჩანაწერები და მას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის „ქრონიკების“ III ტომში. „მეფე ირაკლის ქორონიკონი“ 1747 წელზე წყდება, მაშინ როცა ჩვენ მიერ შესასწავლი მცირე ქრონიკა 1795 წლამდე მოდის.

## იგორ კეკელია, ნანა სულავა

### სენაკის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი მიკროტოპონიმის მართებული გააზრებისათვის

მხარეთმცოდნე გივი ელიავა ზემო ჭალადიდის „სასოფლო საბჭოს“ (ამჟამად ადმინისტრაციული ერთეულის) ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს ტოპონიმს – გვალასუ, და შენიშნავს, რომ ასე ეწოდება სოფლის ნაწილს, რაც თეკლათამდე გრძელდება. გ. ელიავას განმარტებით, გვალასუ იგივეა, რაც „მთაზე“ (ელიავა, 1989, 17). ვფიქრობთ, ეს განმარტება უმართებულოა. გვალასუ, ჩვენი აზრით, კომპოზიტია: გვალა იგივეა, რაც „მთა“, ხოლო სუ, სქუ აღნიშნავს წყაროს, ნაკადულს. მაშასადამე, გვალასუ შესაძლებელია გავიაზროთ, როგორც „მთის წყარო“.

ოცონომელე დაზუსტებული ლოკალიზაციისა და განმარტების გარეშე დასახელებულია ადგილის სახელწოდებად, ახალი სოფლის „სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში (იქვე, 21). ცონა, ცვანა მეგრულში იგივეა, რაც „ყანა“. ოცონომელე ნიშნავს „გაღმა საყანეს“. სახელწოდება მიუთითებს, რომ სახელდებული ობიექტი მდინარის (ან ღელის) გაღმა მხარეს მდებარეობს.

გ. ელიავას ცნობით, თოლიში დუდი ეწოდება ადგილს თეკლათში. დაზუსტებული ლოკალიზაცია არ არის მოცემული, ხოლო განმარტება („თვალის თავი“) არასწორია. თოლ(იში) დუდი უნდა გავიაზროთ, როგორც „წყაროს სათავე“. წყუთო(ლ)ი „წყაროსთვალა“, თოლდუდი - წყაროს (ნაკადულის) სათავე.

ნოსირის „სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში საყანე და სამოვარი მასივის სახელწოდებად მითითებულ ტოპონიმს - თურქული, ხალხური განმარტება ახლავს: „ნათურქ ადგილად თვლიან. წინათ ტყიანი ადგილი იყო“ (იქვე, 36). ჩვენი აზრით, ნათურქუ მიუთითებს, რომ ეს ადგილი თურქიას გვარის კაცს ეკუთვნოდა, თურქიას მფლობელობაში (საკუთრებაში) იყო.

გულუბრყვილო ეტიმოლოგიის ნიმუშია აგრეთვე ტოპონიმ ქოისის გ. ელიავასეული განმარტება: „იყოს შენ!“ (იქვე, 39). ქოიო, ქოლო წყაროში ჩადგმული ხის გულამოდებული მორია. ქოლოს იყენებენ წყლის შესაკრებად და სუფთად შენახვის მიზნით. ქოლო სამეგრელოს მრავალ ჰიდრონიმში ფიგურირებს. ქოისი, ქოიში უნდა განიმარტოს როგორც „ქოლოსი“, ანუ ადგილი, სადაც ქოლოა ჩადგმული.

## ზვიად კვიციანი, თსუ

### სვანეთი – რკინის მეტალურგიის უძველესი კერა

კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგიული კერების არსებობის, გამოვლენის და შესწავლის პრობლემა იდგა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მკვლევართა წინაშე. მათი ერთი ნაწილის მონაცემებით, კავკასია ძველ მსოფლიოში რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ კერად არის მიჩნეული (ჟ. დე მორგან, გ. აზიხი, ე. უირინგ, ც. შეფერი და სხვა). მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდი ყურადღება მიექცა ცალკეულ ეთნიკურ გაერთიანებათა ღვაწლის წარმოჩენის საკითხს, ძველ მსოფლიოში გამოყენებული ლითონების, მათ შორის ვერცხლის, სპილენძის და რკინის ათვისების საქმეში. საინტერესო, მრავალფეროვანი სპექტრის მომცველი ინფორმაცია წარმოდგენილი ცნობილი ევროპელი მეცნიერების, მეტალურგიის ისტორიის სპეციალისტთა ნაშრომებში, რომლებშიც თავმოყრილია უძველესი სამთამადნო, მეტალურგიული და ლითონდამუშავების ამსახველი მასალები. განხილულია მსოფლიო მეტალურგიის ისტორია ჩასახვის პერიოდიდან, სადაც დამსახურებული ადგილი

აქვს მიჩენილი კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები მეტალურგი ტომების შემოქმედებას (რ. ფორბსი, ჰ. კოვლანი, ლ. ეიჩისონი, ჰ. რიჩარდსონი, თ. რიკარდი და სხვ.).

არქეოლოგიური მასალისა და კლასიკური პერიოდის ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით, რ. ფორბსი აღნიშნავს, რომ პონტოს რაიონი, სადაც სახლობდნენ ხალიბები, თუბალები, მოსინიკები, ფერადი ლითონისა და რკინა-ფოლადის წარმოების სამშობლოა. რ. ფორბსის აზრით, რკინის აღმოჩენის ცენტრად შეიძლება კავკასიის მთიანეთი მივიჩნიოთ, საიდანაც მისი დამუშავების ტექნოლოგია სხვა რეგიონებში გავრცელდა. ფოლადის მიღების ხელოვნება დაკავშირებულია ხალიბ-ხალდეებთან (შდრ. სოფ. ხალდე (მესტიის მუნიციპალიტეტი)).

სვანეთში საკმარისად იყო განვითარებული რკინის მეტალურგია, რომლის არქეოლოგიური საბუთია 2011, 2013, 2014 და 2015 წელს თსუ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჭუბერის თემის, სოფ. ქვ. მარღში, სოფ. ქვ. იფარში, სოფ. ხაიშში, სოფ. ქედანში, სოფ. ლუჰაში და სოფ. ლახაშში გამოვლენილი მეტალურგიული მოედნები და რკინის სადნობი ქურები, რკინის წიდეები, რკინის ნაღვენთები, ქურის კერამიკული საქმენი მიღები, რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები და სხვ. ანტიკური ხანის რკინის გამონამუშევრები ხშირად იჩენენ თავს დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ ყველაზე ადრე ჭოროხისა და ჭუბერის ხეობებმა მიიქციეს ყურადღება. ჭუბერში ადრეანტიკური, ელინისტური და რომაული ხანის ძეგლები ჩნდებოდა იმ სავაჭრო გზის გასწვრივ, რომელიც შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან ენგურის ხეობაზე იყო მიბმული, ხოლო ხაიშშიდან ნენსკრას ხეობით უღელტეხილისკენ მიემართებოდა. სწორედ ამ ხანას უნდა ემთხვეოდეს ჭუბერის რკინის საბადოების ათვისება. რკინის ამ საწარმოო კერასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქურათა მრავალრიცხოვანი ნაშთები, აღმოჩენილი ნენსკრას ხეობაში, კერძოდ სოფ. ლახამის ჩრდილოეთით არსებულ ფერდობზე (დაახლოებით 50 ჰექტარი) და ენგურის ხეობის დასაწყისთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფ. ჯვარსა და ლიაში. აქ აღმოჩენილ ნაშთთა შორის სიმრავლით რკინის წიდა და თიხის საქმენი მიღები გამოირჩევა. ჭუბერის მდიდარ მადნებთან და წარმოებასთან დაკავშირებული ჯვარ-ლიას სახელოსნოების განლაგება ცნობილ სავაჭრო მაგისტრალზე, ეტყობა, საფუძველს ქმნიდა რკინის ნივთების სასაქონლო-სავაჭრო წარმოებისათვის, შავი ზღვისპირეთის ძველ ქართულ ქალაქებში ან მათ მახლობლად ბერძნული ფაქტორების წარმოქმნის დროიდან მაინც.

აღმოჩენილი რკინის ქურები, ასევე გადამუშავების შედეგად ნარჩენი მასალები - რკინის ნაღვენთები, თავად გადამუშავებული რკინა,



ქვით ნაშენი და შებათქაშებული ქურები - ძველი წელთაღრიცხვის მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება. დაფიქსირებული მასალის რაოდენობა და ტერიტორიის მასშტაბი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სვანეთში, რაჭისა და მდინარე ჭორიხის აუზში მოპოვებული რკინით იმ პერიოდში არა მხოლოდ კოლხეთი, არამედ წინა აზიის სახელმწიფოებიც მარაგდებოდა. იმ პერიოდში რკინის მოპოვება და დამუშავება მაღალი ცივილიზაციის არსებობის მაჩვენებელი იყო

გამოვლენილი ქურები და რკინის ქვის კარიერები მისი მასშტაბებიდან (50–60ჰა) გამომდინარე რკინის ხანის სამთო მეტალურგიის ყველაზე დიდი რეზერვუარები შეიძლება აღმოჩნდეს, რასაც მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაადგენს.

## ბონდო კუპატაძე, თსუ

### „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული რეალიები

შოთა რუსთველი თავის პოემის სიუჟეტური ქარგის ასაგებად იყენებს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებს. შესაბამისად, პოემის მრავალი პერსონაჟი რუსთველის თანამედროვეა. როსტევეანი-გიორგი მეფე, თინათინი-თამარ მეფე, დავით სოსლანი-ავთანდილი (მისი პატარა სამეფო 20 დღის სავალზეა დაშორებული არაბეთის ცენტრიდან), ხატაეთის მეფე რამაზი-იური ანდრიას ძე (2-ჯერ აჯანყების ფაქტი),

ამასთან „ვეფხისტყაოსანი“ ამკვიდრებს იმ იდეოლოგიას, რომელიც სამეფო კარის ინტერესებს შეესაბამება. „ლეკვი ლომისა სწორია“ - თამარის კორონაციის ლეგიტიმაცია, ტახტისმემკვიდრეობის ახალი წესის დადგენა; „ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე“, „უხვი ახსნილსა დააბამს“ - განდგომილთა დამორჩილების და შემორიგების ის მეთოდი, რასაც იყენებდნენ გიორგი, თამარი; „ვინცა მოკვდა მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“, „ხამს მეფეთა ერთგულება“, „პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების“ - ქართული პატრონყმობის იდეოლოგიას ამყარებს.

საინტერესო ფაქტია სახელმწიფო ინსტიტუტების მრავალჯერ მოხსენიება პოემაში. საწოლი, სალარო... „დარბაზობა“ სხვადასხვა შინაარსით პოემაში 16-ჯერ იხსენიება.

## მაია ლომია, თსუ

### ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა ლემატიზაციის საკითხი

(ქართული, მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით)

ფონოსემანტიკურ ზმნებს ე. წ. საშუალ გვარს აკუთვნებენ და მწკრივნაკლები არიან. სინქრონიულ დონეზე მათ საკუთარი წარმოების მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმები მოეპოვებათ: *რაკრაკებს - რაკრაკებდა - რაკრაკებდეს*. ამგვარ ზმნურ ფორმებს, არნ. ჩიქობავას ტერმინით, პირველადი მასდარი ეწარმოებათ. მოცემული ზმნისთვის ასეთია *რაკრაკი*. ლემატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით იჩენს თავს ზმნისწინიან ფორმებთან აწმყოს წრეში: *მი-რაკრაკებს - მი-რაკრაკებდა - მი-რაკრაკებდეს*. ცხადია, აქ ზმნისწინს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს, ამიტომაც ზმნისწინიან ფორმათა ლემად ან ისევე *რაკრაკი* უნდა მივიჩნიოთ, ან უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ფორმებში ლემა ფაქტობრივად არ გამოიყოფა. ამავე ფუძის ზმნები მყოფადის წრის მწკრივებს სხვა ზმნისწინით აწარმოებენ: *წარაკრაკდება - წარაკრაკდებოდა - წარაკრაკდებოდეს*. ლემაა *წარაკრაკება*.

მეგრულში ასეთივე ვითარებას გვიჩვენებენ ფონოსემანტიკურ ზმნათა ფორმები აწმყოში: *ბურხინუნს „ბუხუნებს“ - ბურხინუნდუ „ბუხუნებდა“ - ბურხინუნდას „ბუხუნებდეს“ - ბურხინუნდუკო „რომ ებუხუნა“*. ლემა: *ბურხინი „ბუხუნი“*. მე- ზმნისწინიანი ფორმები: *მე-ბურხინუნს „მიდის და ბუხუნებს“, სიტყვასიტყვით: „მიბუხუნებს“ - მე-ბურხინუნდუ „მიდიოდა და ბუხუნებდა“, მე-ბურხინუნდას „მიდიოდეს და ბუხუნებდეს“, მე-ბურხინუნდუკო „რომ მიდიოდეს და ბუხუნებდეს“*. მყოფადის მწკრივი: *მიდე-ბურხინუ „წავა და იბუხუნებს“*; ლემა არ გამოიყოფა.

ლაზურში ამგვარი სემანტიკის ზმნისწინიანი ზმნური ფორმების ორგანული წარმოება არ დასტურდება. სიარულის თანმხლები მოქმედება გადმოიცემა აღწერთად, თუმცა, როგორც ჩანს, ლაზურში ამ მოვლენას სისტემური სახე არა აქვს, რადგან ვერ ეხამება მეგრულის მონაცემებს და, შესაბამისად, რაოდენობრივადაც ვერ უტოლდება; სხვადასხვა ინფორმატორი სხვადასხვანაირად აღწერს; უფრო მეტიც, შეიძლება ერთისთვის საერთოდ არ იყოს ბუნებრივი და მეორემ, შესაძლებელია, თუნდაც აღწერთად გადმოსცეს იგი. მაგალითად, მეგრ. მერაქვალანს - მიდის და ჩხუბობს ხმამაღლა - ლაზ. *ოკობუთენ ნულუნ*.

*ნულუნ დო ზოი ხომათენ ოკობუნ* (ინფორ. მაია მემიშიში, ს. კვარიათი);  
*ოკოკიდერ–ოკოკიდერ ნულუნ*. *ჰემ ნულუნ დო ჰემ ოკობუნ* ჩხუბით  
მიდის – მიდის და თან ჩხუბობს ხმამაღლა (ინფორ. ლელა ბეჭირიში,  
ს. სარფი).

## მარიამ მარჯანიშვილი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

### მიხეილ ჯავახიშვილი - ემიგრანტთა მოგონებებში

ამბობენ „დიდი ადამიანი დეტალშიც დიდიაო“. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ დიდი მეცნიერის, აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები, რომელიც 21 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებებშია გადმოცემული.

ცნობილმა ემიგრანტმა მიხაკო წერეთელმა 1940 წელს ბერლინში, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე აღნიშნა: „ივანეს ტიტულები დიდაც ბევრი ჰქონდა - იგი იყო პროფესორი, აკადემიკოსი, როგორც მეცნიერი, დიდი ხნის განმავლობაში რექტორი უნივერსიტეტისა, როგორც აკადემიური თანამდებობის მქონე და სხვა; მაგრამ რაოდენი ყოფილა აკადემიკოსიც, პროფესორიცა, უნივერსიტეტის რექტორიცა, მაგრამ იგი ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა.“

ივანე ჯავახიშვილის დიდ პიროვნებაზე, მოქალაქეობრივ სიმაღლესა და მოწამის სულის მატარებელ მოძღვარზე საუბარი ემიგრანტ გივი კობახიძის მოგონებაში: ბერიამ „ივანეს „სთხოვა“ დაეწერა ქართული ბოლშევიკური პარტიის ისტორია. ჯალათ ბერიას ალბათ ეგონა ამ საშინელი ტერორის ხანაში ივანე შიშით უარის თქმას ვერ გაბედავდა... მაგრამ პატარა კაცუნა მწარედ მოსტყუვდა... ივანემ ცივი უარი განუცხადა: „თქვენ მრავლად გყავთ ახალგაზრდა ისტორიკოსები, რომელნიც პოლიტიკური პარტიის ისტორიას უკეთ დასწერენო“.

დიდი მეცნიერისა და დიდი პიროვნების სრულყოფილი სახეა გამოკვეთილი მწერალ გრიგოლ რობაქიძის, ნინო თარხან-მოურავისა და ვინმე „ი.კ-ს“ მოგონებებიდან, რომელსაც მიხაკო წერეთლის სიტყვებთან მივყავართ: „ჯავახიშვილი იმ დროს რომ დაბადებულყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმინდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო, ან თუ გინდ გრიგოლ ხანძთელი, რადგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორებიც იყვნენ ეს დიდი მამანი ძველ საქართველოში.“

## გიორგი მაჭარაშვილი

### ფოლკლორული წყაროების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდენტობის კვლევისთვის

ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიების თანახმად, ეთნო-კულტურული ერთობის ერად ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ყველა სოციალური ფენისთვის საერთო საჯარო კულტურისა და ერთიანი ეროვნული თვითცნობიერების არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიერ შემუშავებულ ეროვნულ იდეას არ იზიარებს „წვრილი ერი“ (დაბალი სოციალური ფენები), გამოდის, რომ ერი არ არსებობს.

ჩვენ გვაქვს მრავალსაუკუნოვანი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც ვხედავთ ერთიანი ქართველი ერის იდეას, მაგრამ საიდან შეიძლება დავადგინოთ, იზიარებდა თუ არა ამ იდეას წერა-კითხვის არმცოდნე მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა?

ჩვენ უკვე გავაკრიტიკეთ ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის თანამედროვე ქართველი მკვლევრები იმის გამო, რომ ისინი ყურადღების მიღმა ტოვებენ ქართული ფოლკლორული წყაროების მონაცემებს; არ ითვალისწინებენ უცხოურ წყაროებს საქართველოს შესახებ, სადაც ქართული პოლიტიკური ელიტის იდეოლოგია ნამდვილად არ არის წარმოდგენილი. ისინი ძირითადად ბეჭდური მედიის მონაცემების ანალიზით კმაყოფილდებიან და ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბებას XIX საუკუნით ათარიღებენ.

ჩვენ გვაქვს მრავალი თაობის მეცნიერთა ღვაწლით შეკრებილი და დასტამბული უამრავი ქართული ფოლკლორული წყარო (უადრესი გამოცემა 1600-იანი წლებით თარიღდება!). ზეპირსიტყვიერების ძეგლები საშუალებას იძლევა, დავინახოთ ქართველი ერის ისტორია „ქვემოდან“, ისე, როგორც მას აღიქვამდა წერა-კითხვის არმცოდნე მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ფოლკლორული ძეგლების განსხვავებული ვარიანტების შედარებითი კვლევა ცხადყოფს, ჰქონდა თუ არა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრ მოსახლეობას ერთიანი ეროვნული იდეა და როგორი იყო მათი თვითცნობიერების დინამიკა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

## ტრისტან მახაური, თსუ

### ხალხური წეს-ჩვეულებების ასახვა ბაჩანას პოემაში „წაწლობა“

ბაჩანა ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი უმცროსი ძმის – ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი არის ლირიკული ლექსების, პოემების და მოთხრობების ავტორი. ბაჩანამ იმთავითვე მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება, როგორც ნიჭიერმა პოეტმა. აკაკი წერეთელმა ახალგაზრდა შემოქმედისადმი გულთბილი დამოკიდებულება საკუთარი ლექსით გამოხატა, ხოლო არტურ ლაისტმა თავის მოგონებაში აღნიშნა: „არ დამავიწყდება ის წუთი, როცა აღტაცებული ილია ჭავჭავაძე პირველად კითხულობდა ბაჩანას ლექსებს „მუხას“ და „ბინდი მთაში“.

პოემა „წაწლობა“ ბაჩანას უკანასკნელი ვრცელი ეპიური ნაწარმოებია, რომლის შექმნასაც საფუძვლად დაედო კონკრეტული ფაქტი პოეტის ცხოვრებიდან. სანდრო რაზიკაშვილი იგონებს: „ბაჩანამ ცოლად შეირთო ფშავლის ქალი, მარიამ გურასპაული, თავისი წაწალი და ამით მან პირველმა დაარღვია თემის ადათი, რომელიც უკრძალავდა ყველას თავის თემის ქალის შერთვას, არამც თუ თავის სოფლისას“.

ხსენებულ პოემაში ბაჩანამ დიდი ადგილი დაუთმო წაწლობის ტრადიციის მხატვრულ ასახვას, თუმცა, ამასთან ერთად, მან ფშავხევსურთა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ადათ-წესებიც გაგვაცნო: ხატობები, ქალ-ვაჟის დანიშვნა აკვანში, ქორწილი, კაფიობა, ჩონგურზე დაკვრა და დამღერება, შილინდი (მიზანში ტყვიის სროლა), რწმენა-წარმოდგენები კუდიანებზე, მომთაბარეობა, მესაქონლეობა, შაბათის მუშა და სხვა.

პოემა-რომანი „წაწლობა“ ფშაველთა ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი მხატვრული მატრიანია.

## ინგა მილორავა, თსუ

### ბედისწერის მარწუხებში

(„მოირას რკალი“ ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში)

ნიკო ლორთქიფანიძე იმ რამდენიმე შტრიხში, რომლებსაც მკითხველს აწვდის, რათა თანამოაზრედ და ტექსტის სათქმელის გამოაშკარავების პროცესის თანამონაწილედ აქციოს, ყოველთვის გულისხმობს იმ

ტკვილს, სევდას, მუდმივი ტანჯვის განცდას, რომლებიც უნდა დაინახონ, შეიგრძნონ, ამოიციონ ტექსტის მიღმა.

ადამიანის ცხოვრებას ნიკო ლორთქიფანიძე ხშირ შემთხვევაში ერთ გაბმულ, სულისშემძვრელ და მტკივნეულ მელოდიად აღიქვამს. ყველაფერი იმთავითვე განსაზღვრულია და არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ადამიანი მოირების ხელშია. მე-20 საუკუნის დამდეგის ადამიანი, რომელმაც ნიცშეს, შოპენჰაუერის, ბერგსონის, შიტირნერის, ფროიდის ნააზრევს გაუსინჯა გემო, იოლად ვედარ პოულობს გზას მტანჯველი ფიქრების ლაბირინთებში. თანამედროვე გამომსახველობითი სისტემების მიღმა შერყეული რწმენა, პესიმიზმი და სკეფსისი ირეკლება. ადამიანი ტანჯვისთვის ჩნდება. ეს თეზისი მყარად იდგამს ფესვს, ოღონდ თანამედროვე ადამიანი შვებას უკვე არსაიდან ელის. ადამიანი ტანჯვისთვის ჩნდება. ეს თეზისი მყარად იდგამს ფესვს, ოღონდ თანამედროვე ადამიანი შვებას უკვე არსაიდან ელის. „ვინ იცის, საიქიო რას უმზადებს სალომიკას?“ - სვამს კითხვას მწერალი („ცხოვრება სალომიკასი“). არის კი ღმერთი, თუგინდ ღმერთები მოწყალენი? ამ კითხვაზე მას გამოკვეთილი პასუხი არ აქვს, სამაგიეროდ ნათლად ხედავს, რომ ადამიანის ცხოვრება გარკვეული მკაცრი და ხშირად უსამართლო წესების, სქემების მიხედვითაა აგებული, მიწიერ მოვლენათა ლოგიკური კავშირებით გაპირობებული, რომლებსაც ხან ბედისწერას უწოდებენ, ხანაც განგებასა და ზენებას და ტრაგიკული შემთხვევითობაც შეიძლება ეწოდოს.

ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ბედისწერის მარწუხებში მოქცეული ადამიანის სულერი მდგომარეობა, მისი სივრცე, მისი ადგილი ამ სამყაროში მხატვრულ სახეებში გარდაისახება. მწერალი სხვადასხვა საშუალებას იყენებს. „მოირას რკალში“ მოქცეული მხატვრული სინამდვილის შესაქმნელად და თავისი კონცეფციის გადმოსაცემად. იმპრესიონისტული გამომსახველობითი საშუალებები, ლირიკულობა, სიმბოლოებით აზროვნება, ემპათიის მაღალი ხარისხი ქმნის საერთო სურათს, რომლებშიც ბედისწერა თავის მხრივაც ერთგვარი მხატვრული ბერკეტის ფუნქციას იძენს ადამიანის სული მოძრაობის სახეობრივ ქსოვილში უკეთ გადმოსაცემად.

## ქეთევან ნადირაძე, თსუ

### XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ყოფის საკითხების კვლევის შეფასებისათვის

ამჟამად, ჩემი კვლევის ინტერესის სფეროა XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, რადგან როგორც ცნობილია ეს საუკუნე „ისტორიული მეცნიერების რევოლუციის ეპოქადაა“ მიჩნეული, ხოლო ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ ეპოქას ქართული ნაციის დაბადების დროდაც კი მიიჩნევს. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ დიდი გარჯის შედეგად, ამ საუკუნეში მოღვაწე ქართველოლოგებმა ხელი შეუწყვეს მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას, რამაც, თავის მხრივ, მეცნიერების ახალ ეტაპზე აყვანის შესაძლებლობა მისცა მომავალ თაობას, რომლის სახესაც, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილი. თუმცა XX – XXI სს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არც თუ იშვიათად შევხვდებით ერთგვარად ქედმაღლურ დამოკიდებულებას წარსულში მოღვაწე კოლეგებისადმი, რადგან თანამედროვე მოთხოვნათა გადასახედიდან აფასებენ მათ დამოკიდებულებას საკვლევი თემისადმი. ვფიქრობ, ყოველთვის ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ქართველოლოგიური მეცნიერების იმდროინდელი მდგომარეობა, მიზნები, კვლევის მეთოდები და ამ ფონზე შეფასდეს ამ პერიოდის სამეცნიერო მიღწევები, განსაკუთრებით, კი ქალაქის, როგორც გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის არსი, რადაც დასახელებული ეპოქის მეცნიერები ძირითადად პოზიტივისტური სკოლის მიმდევრები იყვნენ, რომლის გავლენითაც ე. კარის სიტყვებით „XIX საუკუნის ასწლეული იყო ფაქტების დიდი ეპოქა“. სწორედ ამ კუთხით იქნება მოხსენებაში განხილული აღნიშნული საკითხი.

განხილვის საგანს წარმოადგენს პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ეგაიზაროვის, ახვერდოვის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც მსჯელობა მიმდინარეობს ქალაქების წარმოშობის მიზეზებზე, ამქრულ ორგანიზაციებსა და საქალაქო წყობის ზოგიერთ საკითხზე. საინტერესოა, როგორი შეფასებები და დასკვნებია წარმოდგენილი მათ კვლევებში იმ მწირი წყაროებისა და თითქმის არქეოლოგიური მასალების უქონლობის პირობებში და გარკვეულწილად დროის კონეკტურიდან გამომდინარე, რომლისგანაც ზოგიერთი ავტორი ნამდვილად არ არის თავი-

სუფალი. ძირითადად სჭარბობს ლიტერატურა გვიანფეოდალური ხანის ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ, რომელიც პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. აღწერილობითი ხასიათის, რომელსაც დღეს წყაროს ფუნქცია შეიძლება დავაკისროთ და 2. გამოკვლევები, რომლებიც ძირითადად პირველს ემყარებიან.

## გიორგი ოთხმეზური, თსუ

### ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

1) გვარი ჯავახიშვილის წარმოშობის ისტორია;  
2) მშობლები და ოჯახური გარემო. გიმნაზიის წლები. ცხოვრების საბოლოო მიზნის დასახვა;

3) პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი (1895-1899 წწ.);

4) პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდი (1899-1917 წწ.). ექსპედიცია სინას მთაზე; საქართველოს ისტორიის სექციის დაარსება (1903 წ.) და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიური მენციერების ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოტანაში;

ივ. ჯავახიშვილი – ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის და ახალი ქართული ისტორიოგრაფის ფუძემდებელი;

5) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა;

6) ივ. ჯავახიშვილი – ქართული მეცნიერების პატრიარქი;

„ქართველი ერის ისტორია“ – „ისტორია ქართული სახელმწიფოს შექმნისა, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა.... უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორიო და არა გაზვიადებული, ყალბი“;

ივ. ჯავახიშვილი – ქართული ისტორიული მეცნიერების დამხმარე და წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების ფუძემდებელი: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ქართული სიგელთმცოდნეობა, ქართული ნუმიზმატიკა – მეტროლოგია...). ქართული სამართლისა და საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ფუძემდებელი. ქართული არმენოლოგიის მესაძირკვე.

კრიტიკული მეთოდის დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება. ივ. ჯავახიშვილი



ლი და ქართული არქეოლოგია. სამუზეუმო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

ივ. ჯავახიშვილი – ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები (1918-19420 წწ.).

## თამარ პაიჭაძე, თსუ

### სიმბოლოდან სიმბოლიზმისაკენ - ევროპულ ქართული სპექტრი

ცნობილი ფაქტია, სიმბოლო, როგორც მხატვრული ხერხი არ არის სიმბოლიზმის შემოტანილი ხელოვნებაში, მას ბევრად უფრო გრძელი ისტორია აქვს და პირიქით, მას დაეფუძნა სიმბოლიზმი რისი მაგალითებიც ლიტერატურაში არაერთგზის გვხვდება. სიმბოლიკის შესაქმნელად სიტყვის არსის გამოსახატავად მწერალი იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს: მეტაფორებს, შედარებებს, ალეგორიას...

ჩვენს ყოველდღიურობაში, შეგვიძლია განვსაზღვროთ ობიექტი, როგორც სიმბოლო (ღიმილი, მტრედი, წითელი ვარდი, კიბე, სარკე...) სიმბოლოს მნიშვნელობა დამოკიდებულია კონტექსტზე ის გამოიყენება როგორც „შემეცნებითი ჯაჭვი“ - პარადიგმა, ამგვარად, სიმბოლური აზრის მნიშვნელობა აღიქმება ქმედების, დროის, ადგილისა და ვითარების გამოყენების მიხედვით და ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ კითხულობს მას.

აქედან ჩნდება ახალი გამოწვევები ხელოვნებისათვის, რაც ადრე მეცნიერებასა და ფილოსოფიას ეკისრებოდა და „საიდუმლოებათა გასაღებების გაყალბების“ საფუძველი ხდებოდა, დაუახლოვდა „ურეალურეს“ არსს მსოფლიო სიმბოლურ სურათის შექმნის გზით. ვიაციისლავ ივანოვის აზრით, „სწორედ სიმბოლო, და არა ზუსტი მეცნიერება შეამღებინებს ადამიანს შეაღწიოს სამყაროს იდეალურ არსში, „რეალურიდან ირეალურისაკენ.“

განსაკუთრებული როლი ზერეალურის შეცნობაში სწორედ პოეტებს ეკუთნით, როგორც ინტუიციური აღქმის მატარებლებს და პოეზიიას, როგორც ნაყოფს უმაღლესი მენტალობის შესაცნობელად. თავად სიტყვა „სიმბოლო“ ტრადიციულ პოეტიკაში აღნიშნავს მხატვრულ-აზრობრივ საშუალებას, რომელიც გამოხატავს კონკრეტული მოვლენის, საგნის არსს; სიმბოლისტურ პოეზიაში ხსნის ინდივიდუალურ, ზოგჯერ იმწუთიერ ავტორისეულ აღქმას.

სიმბოლისტი მიმართავს სიმბოლოებს საგანთა ხარისხის თუ იდეის გამოსახატავად, მათი სიმბოლური მნიშვნელობით, რომლებიც განსხვავდება მათივე პირდაპირი მნიშვნელობისაგან. სიმბოლოს ფუნქცია ამგვარად იქნა განსაზღვრული სიმბოლისზმის თეორეტიკოსის ფიოდორ სოლოგუბის მიერ: „სიმბოლო - ფანჯარაა უსასრულობაში. აზრობრივ ფორმაციათა ეს მოძრაობა და თამაში წარმოქმნის შეუცნობლობას, სიმბოლოს საიდუმლოს. თუ გამოსახულება გამოსახავს ერთგვაროვან მოვლენას, სიმბოლო იტევს მთელ რიგს მხატვრული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, სხვადასხვამიმართულეებრივი ღირებულებებისას“. სიმბოლისზმის თეორეტიკოსი და პოეტი ვიაჩსლავ ივანოვი წერდა, რომ „სიმბოლო აღნიშნავს არა ერთ, არამედ სხვადასხვა არსებობას“; ანდრეი ბელი კი სიმბოლოს განსაზღვრავდა როგორც „არაერთგვაროვნების გაორებას, რომელიც სიმბოლოში იწყება რომანტიული წარმოდგენებიდან ორსახოვნებაზე, ყოფიერების ორი სივრცის ურთიერთგადაკვეთაზე...“

სიმბოლოს ეს ფორმალური და აზრობრივი სუბლიმაცია სიმბოლისტურ ევროპაში დაიწყო და მოგვიანებით ქართულ მხატვრულ ტექსტებშიც ნათლად გამოვლინდა, რაც ევროპული (ფრანგული, ინგლისური, გერმანული) და ქართული ლიტერატურული ნიმუშების შედარებისას თვალსაჩინოა.

## ნესტან სულავა, თსუ

### ადამიანი ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ჰიმნოგრაფიის თემატიკა მკაცრად რეგლამენტირებულია; საგალობელი ასახავს ღმერთის, ღვთისმშობლის, საუფლო და სხვა ქრისტიანული დღესასწაულების, მოციქულების, წმინდანების თემას, თეოლოგიურ-დოგმატიკურ პრობლემებს. ადამიანის ფენომენის განხილვისას ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო და ჰაგიოგრაფიული თხზულებების განხილვის საფუძველზე სამი საკითხი გამოყო: 1. მოძღვრება ადამიანზე; 2. ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები; 3. ადამიანი ვითარცა მოღვაწე. ჰიმნოგრაფია, რომელიც ორი ტიპისაა: 1. ღმერთისა და საღვთო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი, 2. წმინდანებისადმი მიძღვნილი, – საისტორიო და ჰაგიოგრაფიული თხზულებებისაგან განსხვავებულად ადამიანს აჩვენებს. ჩემს

მოხსენებაში მსჯელობა მექნება მეორე ტიპის საგალობლებზე, რომლებშიც წმინდანის, შესაბამისად, ადამიანის ხატ-სახე წარმოჩნდება.

წმინდანის//ადამიანის სულიერი განვითარების საფეხურები ჰაგიოგრაფიაში განირჩევა, ჰიმნოგრაფიაში ადამიანის ხატი მისგან განსხვავებულად აისახება. განსხვავებულობას წმინდანის//ადამიანის სულიერი განვითარების დინამიურობა-სტატიკურობა ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ წმინდანის წარმოსახვის მიზანი ორივე ჟანრის ნაწარმოები-სათვის ერთი და იგივეა. ჰაგიოგრაფიაში წმინდანი საფეხურებრივად ვითარდება, ე.ი. დინამიურად წარმოისახება, რაც ღვთაებრივთან ერთად ესთეტიურობითაც გამოარჩევს მას, თუმცა ესთეტიურობა ღვთაებრივს ექვემდებარება. ჰიმნოგრაფიაში წმინდანის//ადამიანის სულიერი განვითარების საფეხურები დინამიური არაა, სულიერი განვითარების პროცესი არ აისახება, იგი სტატიკურად არის მოცემული, რადგან საგალობელი წმინდანს ზესთასოფელში გადასვლის, სასუფეველში დამკვიდრების შემდეგ წარმოგვიდგენს და წმინდანს იდეალურ ადამიანად ხატავს. ჰიმნოგრაფია ადამიანის//წმინდანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში მომხდარს, როგორც შედეგს, ასახავს.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ წმ. ნინოსადმი, წმ. აბოსადმი, წმ. იოანე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელებისადმი მიძღვნილ საგალობლებს, აგრეთვე, მათგან სრულიად განსხვავებულ დავით აღმაშენებლის „გალობანს“, რომელშიც ადამიანის ხატ-სახე წმინდანთა, როგორც ადამიანის, ხატ-სახეთა ამსახველ საგალობელთაგან სხვაგვარი სახისმეტყველებითი პრინციპებით წარმოისახება.

## თენგიზ სიმაშვილი, თესაუ

### ივანე ჯავახიშვილი, მთვარის კულტი და სტალინი

იოსებ ჯულაშვილის (სტალინი) ნათლიის შვილის, ალექსანდრე ციხითათრიშვილის მოგონებების მიხედვით, პატარა იოსებ ჯულაშვილი, რადგანაც ფიზიკურად სუსტი აგებულების იყო, მამამისს ჯულაშვილების საგვარეულოს მთავარი სალოცავის გერის ხატის სახელზე სამი წლით „ბერად აღუკვეთნია“. ა. ციხითათრიშვილი დაწვრილებით აღწერს ქართლში წარმართობის დროიდან შემორჩენილ ამ ტრადიციას. იგი ივანე ჯავახიშვილის თხზულებებში მოთხრობილ წმინდა გიორგის კულტთან შერწყმულ მთვარის კულტის რიტუალებს ემთხვევა. წარ-

მართული პერიოდის შემორჩენილი ტრადიციისადმი თავისი ოჯახის ერთგულებას, სტალინის დედის ეკატერინე (კეკე) გელაძის მოგონებებიც ადასტურებს.

ჩემ მიერ მოძიებული დოკუმენტების მიხედვით, 1906 წელს იოსებ ჯულაშვილი სტუმრობდა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქალაქ თელავში მცხოვრებ, მასწავლებელ ილია ზარაფიშვილთან. სწორედ ი. ზარაფიშვილი აგროვებდა და აწვდიდა ივანე ჯავახიშვილს ეთნოგრაფიულ მასალებს, კახეთში თეთრი გიორგის კულტთან დაკავშირებული მთვარის კულტის შემორჩენილი რიტუალების შესახებ.

ამ და სხვა მასალების შეჯერებით შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, ხომ არ იყო იოსებ ჯულაშვილი – სტალინი ახალგაზრდობაში ძველი ქართული სარწმუნოების შემორჩენილი რიტუალების, გადმოცემების გაცნობით დაინტერესებული. შესაძლებელია, იგი გარკვეულწილად იცნობდა კიდევ ქართულ ყოფიერებაში შემორჩენილ მთვარის ღვთაების კულტის მაგიის ცალკეულ ელემენტებს, რომლებსაც მთვარის კულტის მსახური მოგვები ადამიანების სამართავად იყენებდნენ.

## გიორგი სოსიაშვილი, გსსუ

### მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან (XV საუკუნის II ნახევარი)

ქართულ საგვარეულოთა შორის ძალიან საინტერესო ისტორია აქვთ მაღალაძეებს. მაღალაძეები, როგორც მცხეთიშვილები, XV საუკუნის არაერთ დოკუმენტში იხსენიებიან. მცხეთიშვილობა, როგორც ცნობილია, მცხეთის საკათალიკოსო საყდრის საკუთრებაში არსებული მამულების გარკვეული ნაწილის ფლობას ნიშნავდა. გარდა ამისა, მცხეთისშვილი მონაწილეობდა კათალიკოსის სათათბირო ორგანოში. მცხეთისშვილები ფლობდნენ საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობებს: ჯვრისმტვირთველობას, ქადაგობას, სარდლობას და სხვ. დოკუმენტებში მაღალაძეები სწორედ მცხეთის ქადაგებად იხსენიებიან.

საისტორიო წყაროების მიხედვით, XV საუკუნის I ნახევარში ცნობილია მცხეთის ქადაგი დიმიტრი გაგელიშვილი-მაღალაძე. რომლის უმემკვიდრეოდ გადაგების შემდეგ მისი სახელო და მამულები დავით კათალიკოსმა ბაგრატ მეფის ნებით მახარებელ მაღალაძეს უბოძა, რომე-

ლიც გადაშენებული მცხეთიშვილისდივანიასძის ადგილზე მისივე გვარით დასვა. 1472 წელს მახარებელს და მის ოჯახს წყალობა განუახლა დავით კათალიკოსმა.

თუ 1470-1472 წლების სიგელების მიხედვით მცხეთიშვილ ივანიასძის მამულები და უმემკვიდრეოდ გადაგებული დიმიტრი ქადაგის სახელო მახარებელ მაღალაძეს გადაეცა (როგორც აღვნიშნეთ, წყალობის გამცემი დავით კათალიკოსია, რომელიც ბაგრატ მეფის ნებით აძლევს წყალობას მახარებელ მაღალაძეს). 1476 წლის წყალობის სიგელით ამოვარდნილი ივანიასძის მამულებს, ასევე უმემკვიდრეოდ გადაგებული დიმიტრი ქადაგის სახელოს და კუთვნილ სოფლებს ალექსანდრე I (1476-1511 წწ.) კახთა მეფე წყალობის სახით აძლევს ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებს. სიგელში იმ სოფლების და სახელოს ჩამონათვალია, რომლებიც ზემოთ ნახსენებ დავით კათალიკოსის მიერ მახარებელ მაღალაძისადმი ბოძებულ სიგელში გვხვდება. ძალიან საინტერესოა, ისიც, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს ერთ სიგელში მახარებელ მაღალაძისადმი აქვს ბოძებული ქადაგობა და ამოვარდნილი მცხეთის-შვილის ივანიასძის მამულები, ხოლო მეორე სიგელში კი ამილბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძისადმი.

ჩვენი აზრით, XV საუკუნეში მაღალაძეთა ორი სახლი ეცილებოდა ერთმანეთს მცხეთიშვილობას და ქადაგობას. მახარებელ მაღალაძისა და ამილბარ მაღალაძის სახლები. ამ დროს ქართლში პოლიტიკურად საკმაოდ არასტაბილური ვითარება იყო. ქართლი გარკვეული პერიოდი ბაგრატ მეფეს (1466-1478 წწ.) ჰქონდა დაპყრობილი. ქართლზე შემდეგ კახთა მეფეები აცხადებდნენ პრეტენზიას. მახარებელ მაღალაძის დაწინაურება, ჩვენი აზრით, სწორედ მისმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა. ქადაგობა მან კათალიკოსისაგან ბაგრატ მეფის ნებით მიიღო, რაც 1470-1472 წ.წ სიგელებით დასტურდება. მოგვიანებით ალექსანდრე I კახთა მეფემ ქადაგობა და ამოვარდნილი მცხეთიშვილის-ივანიასძის მამული, ჩვენი აზრით, პოლიტიკურად კახთა მეფეების მომხრე ამილბარ მაღალაძეს გადასცა. თუმცა მალე უპირატესობა კვლავ მახარებელმა მოიპოვა. ალექსანდრე I-მა იმავე შინაარსის წყალობის სიგელი მახარებელსაც უბოძა. მახარებელ მაღალაძის სახლის დაწინაურებაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ 1492 წლის დოკუმენტში იგი კვლავ მცხეთის ქადაგად იხსენიება.

## თამარ ფარჩუკიძე

### ქართული უნივერსიტეტის გენათურ-პეტრიწონულ სათავებთან

უახლესმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გელათის საგანმანათლებლო სიმბოლოს წინამორბედია პეტრიწონის მონასტრის ემბლემა, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკაში სათავე დაუდო წიგნისა და მზის თემების დამკვიდრებას.

დადგინდა, რომ პეტრიწონის სავანის სიახლოვეს, როდოპის მთებში, მდებარეობს კლდე - უძველესი წარწერით, რომელიც ევროპაში „საიდუმლო ავტოგრაფადაა“ ცნობილი და დღემდე გაუშიფრავია. დასშვებად მიგვაჩნია პირდაპირი კავშირი ამ ფაქტსა და იოანე ბატონი-შვილისეულ ცნობასთან, საიდანაც ვიგებთ, რომ ბერძენმა სწავლულებმა იოანე ჭიმჭიმელს ზეწოდება „პეტრიწი“ („კლდის მფხეკელი“) მიანიჭეს მას შემდეგ, რაც მან კლდეზე ნაწერი ტექსტი მასწავლებლებზე უკეთ ამოიკითხა.

სავარაუდოდ, ხსენებულმა მოვლენამ განაპირობა ძლევამოსილი მხედართმთავრის, გრიგოლ ბაკურიანის ძის არჩევანიც: სწორედ, ამ ადგილას აეშენებინა თავისი საძვალე, ხოლო საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელად მიეწვია აღიარებული ქართველი ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი. ამავე კონტექსტში განვიხილავთ სავანის სახელდებისა და შემდგომში, ქართველთა კვალის წაშლის მიზნით, მისი შეცვლის ფაქტებსაც.

პეტრიწის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი სინათლის ესთეტიკის საფუძველზე, შესაძლებელია მსჯელობა სახელწოდება „გენათისა“ და ზეწოდება ჭიმჭიმელის მეტაფორული ასპექტებისა და საგანმანათლებლო ემბლემათა კონცეპტუალური იდეის შესახებ.

სახელწოდება „გენათი“ არის არა ბერძნული ან ებრაული, არამედ, ქართული წარმომავლობისა და შესაბამისობაშია იმჟამინდელი საქართველოს თვითმყოფადი სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის გამოვლინების ტენდენციებთან. მისი გადარქმევის ფაქტი, უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს პეტრიწონისა და გენათისა აკადემიების ემბლემათა ავტორისა და საგანმანათლებლო ცენტრების სულისჩამდგმელის – იოანე პეტრიწის სახელის ხანგრძლივ და მიზანმიმართულ გაქრობას.

პეტრიწონისა და გენათის სასწავლო ცენტრები ქართული უმაღლესი სკოლის წინამორბედი და ევროპაში საუნივერსიტეტო ცხოვრების დასაწყისის თანადროული მოვლენებია.

## მერაბ ჩუხუა, თსუ

### ბილაბიალურ, დენტალურ და სისინა სიბილანტ თანხმოვანთა შესატყვისობისა-თვის ქართველურ და სინდურ (აფხაზურ-ადილურ) ენებში

მოხსენება ეძღვნება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ყველაზე სუსტად შესწავლილ (დაუმუშავებელ) უბანს – ფონემური შესატყვისობების პრობლემას. ამჯერად განსახილველად (საპაექროდ) წარმოვადგენ სამ ლოკალურ რიგს თანხმოვნებში – ბილაბიალები, დენტალები, სისინა სიბილანტები, რომლებშიც წარმოჩნდება რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური ბგერათმესატყვისობები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ორი ჯგუფის ენებს შორის. ცხადია, შედარებით-ისტორიული შტუდიები განხორციელდა არქექტიპული (ფუძეენური) მონაცემების მოხმობით, რომელთაც სათანადო დადესტნური და ნახური პარალელები ეძებნებათ.

აქვე მოგვიწევს ზოგი განმარტების გაკეთება ჩვენ მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ აფხაზურ-ადილური ენების აღსანიშნავად მოვიხმართ სინონიმურ ტერმინს სინდური ენები, საერთოსინდური ენა (ფუძე-ენა) და სხვ. ასევე, ერთმანეთისაგან გავარჩევთ საერთოსინდურსა და წინარესინდურს, ამ უკანასკნელს საერთოხათურ-სინდური ენობრივი ერთობის წინაპარ ფუძე-ენად მივიჩნევთ, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს პალეოკავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ფუძე-ენისაგან. იგივე მიმართებაა საერთოქართველურსა და წინარექართველურს შორისაც.

ყოველი ბგერათმესატყვისობის საილუსტრაციოდ, ადგილის სიმცირის გამო, მხოლოდ სამ-სამ ნიმუშს წარმოვადგენთ. თუმცა მაგალითები გაცილებით მეტია.

#### ბილაბიალები

საერთოკავკასიური ფუძეენიდან მომდინარე ბილაბიალური თანხმოვნები ძირითადად სრულად არის შემონახული ორივე ჯგუ-

ფის ენებში. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დასახელებულ ჯგუფებს გამოარჩევს ბილაბიალური  $\beta$  მკვეთრის პოზიციურება ფუძე-ენათა დონეზე; საერთოდ, ამ ენებისთვის უცხოა  $\beta \rightarrow \beta$ ,  $\phi \rightarrow \beta/\beta$ , ბილაბიალურ ხშულთა რიგის მოშლის მომასწავებელი ფონეტიკური გარდაქმნები, რომლებიც დამახასიათებელი, დღემდე მოქმედი, ფონეტიკური პროცესებია ნახურ და დაღესტნურ ენებში. თუმცა ანგარიშგასაწევია  $\beta \rightarrow \delta$ ,  $\phi \rightarrow \theta$ ,  $\beta \rightarrow \theta$  ტრანსფორმაციები უბიხურ ენაში, ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ რეგულარულ-კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება იდენტურია. გამოვლინდა შემდეგი ფონემური მიმართებები: ს.-ქართვ.  $\beta \sim$  ს.-სინდ.  $\beta$  (I); ს.-ქართვ.  $\phi \sim$  ს.-სინდ.  $\phi$  (II); ს.-ქართვ.  $\beta/\beta \sim$  ს.-სინდ.  $\beta/\beta$  (III); ს.-ქართვ.  $\beta/\phi \sim$  ს.-სინდ.  $\beta/\phi$  (IV); ს.-ქართვ.  $\theta \sim$  ს.-სინდ.  $\theta$  (V); ს.-ქართვ.  $\theta$   $\sim$  ს.-სინდ.  $\theta$  (VI).

### დენტალური რიგი

საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეენის დენტალური რიგის ხშულთა სპეციფიკურ თვისებად უნდა ჩაითვალოს მათი ოთხწევროვანი შედგენილობა. კერძოდ, თანხმოვანთა ამ რიგში, ისევე როგორც სიბილანტ-აფრიკატებში (სისინა, შიშინა), წინარე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე ფუნქციონირებდა არამჟღერ კონსონანტთა ფონოლოგიური ღირებულების კორელაცია — სადა  $\sim$  გრძელი, ანუ არაინტენსიური  $\sim$  ინტენსიური: \*თ  $\sim$  \*თა, შდრ. სიბილანტური რიგის \*ც  $\sim$  \*ცა, \*წ  $\sim$  \*წა და \*ჩ  $\sim$  \*ჩა, \*ყ  $\sim$  \*ყა კორელაცია. ამგვარი დაშვების საფუძველი თითქოს ჩანს ბგერათშესატყვისობათა დენტალური რიგის მაჩვენებლებშიც. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ამოსავალ ფონემათა (resp. არქიფონემათა) განსხვავებული რეფლექსაცია; ირკვევა, რომ ფუძეენური წარმომავლობის ყრუ ფშვინვიერი \*თ განსახილველ ენებში ისტორიულად არ შეცვლილა; მაშინ, როდესაც ამოსავალი ინტენსიური \*თა არქიფონემის რეფლექსაცია განსხვავებულია როგორც ქართველურ, ისე აფხაზურ-ადიღურ ენებში; უფრო ზუსტად, წინარექართველური \*თა გვიან საერთო ქართველურში უკვე გადასული ჩანს სთ ბგერათკომპლექსში, რომელმაც სვანურში შდ-შტ- ( $\leftarrow$ \*შთ) ალოფონები განივითარა, ხოლო აფხაზურ-ადიღურ ენებში წინარესინდური \*თა ფონემა თავკიდურ პოზიციაში რეალიზებულია როგორც დ  $\leftarrow$  \*თა უბიხურში და ცა  $\leftarrow$  \*თა



ადილურ-ყაბარდოულში. აფხაზურ-ადილურ ენათა არაანლაუტური პოზიციებისათვის დამახასიათებელი იყო მ/მ, (←\*თ), აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი.

ისტორიულად აფხაზურ-ადილურ ენა-კილოთა სიტყვის თავკიდური პოზიციისათვის სპეციალურ ფონეტიკურ გარდაქმნად უნდა ჩაითვალოს \*დ → რ ვიზრანტიზაციის პროცესი — როტაციზმი, რაც ტიპოლოგიურად ეპარალელუბა დაღესტნურ ენათა სათანადო მონაცემებს.

ამდენად, ფუძეენურ მონაცემთა მიმართებების საფუძველზე წინარექართველური და წინარესინდური ქრონოლოგიური დონისათვის შესაძლებელი ჩანს დენტალური რიგის ხშულ თანხმოვანთა ოთხეულბრივი სისტემის \*დ — \*თ — \*თჃ — \*ტ რეკონსტრუქცია.

### სისინა სიბილანტები

თანამედროვე ქართველურ და აფხაზურ-ადილურ (სინდურ) ენათა ფონოლოგიური სისტემები ერთმანეთისაგან სიბილანტ-თანხმოვანთა შედგენილობის თვალსაზრისითაც სხვაობენ. როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში გვაკლია შუანუნისმიერი სისინ-შიშინა სიბილანტები, რომლებიც სინდურ ენებს დღემდე შემოუნახავს. მითითებულ ფონოლოგიურ ინვენტარში ფიქსირებული განსხვავება აისახება ბგერით მიმართებებშიც, რომელიც ქართველურ-სინდურ ძირეულ ლექსიკაში ვლინდება. კერძოდ, აქ თავს იჩენს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა ორი ტიპი: პირველ სახეობაში გაერთიანდება ს.-ქართვ. სისინა (მ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. სისინ-შიშინა (მ, ც, წ, ზ, ს), ხოლო მეორე ტიპში — ს.-ქართვ. სისინა (მ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. სისინა (მ ც წ ზ ს) მიმართებები.

სიღმისეული რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, ქართველურ-სინდური სიბილანტ-თანხმოვანთა ბგერათშესატყვისობების ზემოთ - აღწერილი ეს ორი ტიპი პროტოიბერიულ-კავკასიურ ფუძეენაში განსხვავებულ არქიფონემათა პოსტულაციას არ ვარაუდობს. ორივე სახეობა მიიჩნევა ამოსავალი სისინა სიბილანტების შემდგომ ტრანსფორმაციად საერთოქართველურსა და საერთოსინდურში; უფრო სწორად, საერთოსინდურში, ქართველურ სისინა სიბილანტთა შესატყვისად, სისინ-შიშინა თანხმოვანთა გამოჩენა ავტომატურად არ სვამს საკითხს მათი, სისინ-შიშინა არქიფონემათა (მ, ც, წ, ზ, ს), პოსტულაციის შესახებ საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. ვინაიდან პროტოიბერ-

იულ-კავკასიური ენობრივი ერთობის დროინდელი სისინ-შიშინა სი-  
ბილანტები საერთოქართველურში მხოლოდ შიშინა რეფლექსების  
სახითაა წარმოდგენილი – პალეოკავ. \*ძ, \*ც, \*წ, \*ზ, \*ს, → ს.-  
ქართვე. \*ჯ \*ჩ \*ჭ \*ყ \*შ (ამის შესახებ სხვაგან გვექნება მსჯელობა).

## ლელა ხაჩიძე, თსუ

### ქართული საგალობლები სინურ ხელნაწერებში

1902 წლის სამეცნიერო ექსპედიციას იერუსალიმსა და სინას მთა-  
ზე მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიის განვითარებისთვის .ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ ქართულ ხელნაწერებში გამოვლინდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. სინას მთაზე მუშაობისას აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა X საუკუნის უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფი - იოანე მინჩხი. სინური კოლექციის ქართული ხელნაწერებიდან ივ. ჯავახიშვილმა გადმოწერა იოანე მინჩხის უცნობი საგალობლები, რომლებიც გამოქვეყნდა მოგვიანებით -1947 წელს.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად გამოვლინდა სხვა ქართული საგალობლებიც. X საუკუნით დათარიღებულ ქართულ ხელნაწერში - Sin.59 ნ. მარმა გამოავლინა ფილიპე ბეთლემის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი, უცნობი ავტორის წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლები .

სინურ ხელნაწერებში გამოვლინდა რამდენიმე სხვა საგალობელიც, რომელთა სათაურებში მითითებულია მათი წარმომავლობა - „ქართულნი“. ეს საგალობლები დღემდე შეუსწავლელია. ნაშრომში განხილულია ორი მათგანი.

ორივე საგალობელი მცირე ფორმისაა და შესულია Sin.14 ხელნაწერში, რომელიც X საუკუნით თარიღდება და წარმოადგენს ე. წ. „ახალ იადგარს“. პირველი მათგანი აღდგომის დღესასწაულს ეძღვნება და არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს საგალობელი, მითითებების გარეშე, შესული აღმოჩნდა უნივერსალურ კრებულში „უძველესი იადგარი“, რომელიც VI - IX საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს შეიცავს. ეს გარემოებაც საგალობლის სიძველეზე მიუთითებს.

Sin.14-ში ახალკვირიაკის განგებაზე შესულია კიდევ ერთი მცირე ფორმის საგალობელი, რომელსაც სათაურში მითითებული აქვს -

„ქართულნი“. მისი ტექსტი შესულია X საუკუნით დათარიღებულ კიდევე ერთ ქართულ ხელნაწერში - Sin. 1. შესაძლოა, მისი შექმნა უშუალოდ სინას მთაზე მოღვაწე ქართველ ავტორს უკავშირდებოდეს.

ამ საგალობელთა ავტორების ვინაობა დღეისათვის ცნობილი არ არის. თვით საგალობელთა ტექსტები ჩვენ მიერ მომზადებულია გამოსაცემად.

## ქეთევან ხუციშვილი, თსუ

### კომუნიკაცია დეფაქტო საზღვრის ზონაში (ზუგდიდის რაიონი)

სასაზღვრო ზონებში ეთნოგრაფიული კვლევები კულტურათა მიმართებისა და განვითარების დინამიკის მთელ რიგ პრობლემებს ავლენს. განსაკუთრებით აქტუალური კონფლიქტური დე ფაქტო სასაზღვრო ზონების შესწავლაა, მით უმეტეს ისეთის, სადაც დე ფაქტო გეოგრაფიული საზღვარი არ ემთხვევა კულტურულ საზღვარს. მოხსენებაში ეთნოგრაფიულ მასალის საფუძველზე განხილული იქნება ზუგდიდისა და გალის რეგიონებს შორის ფაქტობრივი საზღვრის არსებობის პირობებში მოქმედი საკომუნიკაციო არხები. პოლიტიკური ვითარების დამზადდგანმუხტვის მიხედვით დე ფაქტო საზღვარი ან სრულად იკეტება, ან შედარებით თავისუფალი ხდება მიმოსვლა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის. რადგან დე ფაქტო საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებთათვის ეთნოდკულტურული საზღვარი არ გადის მდ. ენგურზე, ყალიბდება ფიზიკური საზღვრის გაორებული აღქმა, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ურთიერთობათა ფორმებზე. როგორც აღმოჩნდა, საკომუნიკაციო არხები კონფლიქტური ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე მიუხედავად ფაქტობრივი საზღვრის არსებობისა, მაინც არსებობს და საკმაოდ ინტენსიურად გამოყენება. მათი გამოყენება გულისხმობს თანამშრომლობას ვაჭრობის, ჯანდაცვის საკითხების, კრიმინალთან ბრძოლის მიზნით. ამ ურთიერთობაში მონაწილე აგენტები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, არიან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები და კრიმინალური ჯგუფები. ზოგადი პოლიტიკური ვითარების ცვალებადობა აისახება საკომუნიკაციო არხების გამოყენების ინტენსივობასა და ხასიათზე. საზღვარი პირობით ბარიერად რჩება ურთიერთობათა საკმაოდ რთულ სისტემაში, რომელიც სრულიად არ გაწყვეტილა ყველაზე რთუ-

ლი პერიოდების დროსაც კი. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ ამ საზღვრის პირობითად აღქმაა, რადგან მათ შორის არ არსებობს არც კულტურულ-ეთნიკური, ენობრივი ან სხვა განსხვავება.

## ნიკო ჯავახიშვილი, თსუ

### ივანე ჯავახიშვილის წინაპრები მამის მხრიდან

ნაშრომში მოთხრობილია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის (1876-1940) წინაპრების შესახებ მამის მხრიდან.

გამოკვლევა სამ ნარკვევად იყოფა. პირველ ნარკვევში წარმოჩენილია თავად ჯავახიშვილთა საგვარეულოს ისტორია, მეორეში შესწავლილია ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბები, ხოლო მესამეში წარმოდგენილი არიან ივანე ჯავახიშვილის უშუალო წინაპრები მამის მხრიდან, ანუ პირდაპირი (მამრობითი) ხაზით.

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ჯავახიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხშირად იხსენიებიან. მათ საპატიო ადგილი ეკავათ ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის. ამ გვარის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სარბიელზე და ბაგრატოვან ხელმწიფეთა სამეფო კარზე სხვადასხვა დროს ეპყრათ: მეჭურჭლეთუხუცესის, მეაბჯრეთუხუცესის, მდივანბეგის, ეშიკადასბაშის, ბაზიერთუხუცესის, ფარემთუხუცესის, ბოქალთუხუცესისა და სხვა საპატიო თანამდებობები.

სათანადო საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით დადგენილია, რომ ივანე ჯავახიშვილს ჰყავდა სახელოვანი წინაპრები და ნათესავები, რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი იყო თავისი დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავალი და დამფასებელი, რაც მან თავის მიერ განვლილი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა.

## ოთარ ჯანელიძე, ილიაუნი

### ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის კვალდაკვალ, სახელოვანი სწავლული ქმედითად იღწვოდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. მან, როგორც „მცოდნე კაცმა“ (დღევანდელი ტერმინით - ექსპერტმა), მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული დროშისა და სახელმწიფო გერბის შემუშავებაში. გენერალ ილია ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვასთან ერთად ივანე ჯავახიშვილს წვლილი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგულენოვანი რუკის შედგენაში, ასევე, 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის მომზადებაში და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია სკოლის გაქართულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის ქართული სახელწოდებების შერჩევის საქმეს.

დიდი დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს განათლების ეროვნული სისტემის ფორმირებაში, რომელიც ახლად შექმნილ სახელმწიფოში წარმატებით მიმდინარეობდა. სახალხო განათლების სამინისტრომ პროფესორი ივ. ჯავახიშვილი მიიწვია დაწყებითი სკოლისათვის ახალი პროგრამების შემუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ. იგი ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტსაც, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სახელმძღვანელო და საყმაწვილო წიგნების განხილვა, ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვ.

1919-1921 წლებში ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის პარალელურად, იყო თბილისის სამხედრო სკოლის პროფესორი და თავის ცოდნასა და გამოცდილებას ქართველ იუნკერთა აღზრდასაც ახმარდა.

საქართველოს მთავრობამ ივანე ჯავახიშვილი „მოთათბირის“ სტატუსით ჩართო პარიზის კონფერენციაზე გასაგზავნი ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, თუმცა მეცნიერს საფრანგეთის ვიზა არ მისცეს და დელეგაციის რამდენიმე წევრთან ერთად, კონსტანტინოპოლიდან უკან დაბრუნება მოუწია. ამ დელეგაციის საჭიროებისათვის

მომზადა მან ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილულინ, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ივანე ჯავახიშვილი არც პოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩენილმა, მან ორგანიზაცია „უპარტიოთა კავშირის“ სიით კენჭი იყარა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ დეპუტატის მანდატის მოპოვება ვერ შეძლო.

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

